საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბოლდვუტი სიფცვაა, ფცუილებით და ჭიტებით ბუტთის გაფანა ყვეოა ეკადრისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი-კვირა, 26-28 აგვისტო. 2022 წ. №127-128 (9465-9466) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

ზურაბ ცუცქირიძე:

ევიროპის უგულობა

4

ჭკუიდან გადასული ნახევარი მსოფლიოს უსაქციელობის ქრონიკები

ნუგზარ ფოფხაძე:

ეგებ, სხვა მეგობრებიც გაგეჩინათ, ქალბატონო დეგნან!

3

გია გაბრიჭიძე:

სხვისი მამაძალლები

– რატომ არ ხდება ამერიკაში სახელმწიფო გადატრიალება? – იმიტომ, რომ იქ ამერიკის საელჩო არ არის!..

2

3

აშშ-ის ელჩს ტოტალური სიცრუე მხოლოდ გადაცდომა ან „კრიტიკული აზრი“ ჰგონია

დავით მხეიძე:

არა

– ეროვნებას,
– სამშობლოს,
– რწმენას,
– ისტორიას,
– სქესს და...

„ამერიკული დახმარება“

6

28 აგვისტო – ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაული

როინ მეტრეველი:

მარიამ ლორთქიფანიძე 100

5

„საქართველოს დედა“, საშობლოს პატრიოტი, დიდი მეცნიერი

დავით ემუხვარი:

აფხაზთა უფროს თაობებს მხოლოდ საქართველოს პატრიარქის იმედი აქვთ!

8

აფხაზები ყოველ შეხვედრაზე ხაზგასმით ამბობენ, რომ მხოლოდ საქართველოს პატრიარქის იმედზე არიან, რადგან თვლიან, კიდევ ის თუ შეძლებს გახლეჩილი ქართულ-აფხაზური ურთიერთობის აღდგენას. დარწმუნებული არიან, რომ დადგება ის დრო, როდესაც ჩვენი უწმინდესი ამ ორ ხალხს გააერთიანებს. თამამად შემიძლია გითხრათ, რომ აფხაზეთში ელოდებიან ილია მეორეს.

№127-128. პარასკევი-კვირა, 26-28 აგვისტო, 2022 წელი.

სხვისი მპმპაძალღეგი

– რატომ არ ხდება ამერიკაში სახელმწიფო გადატრიალება? – იმიტომ, რომ იქ ამერიკის საელჩო არ არის!..

„Somoza may be a son of a bitch, but he's son of a bich" (სამოსა მამაძაღლია, მაგრამ ჩვენი მამაძაღლი. ფრანკლინ რუზველტი).

დიახ, ზუსტად ასე შეიძლება აღვიქვათ ქალბატონი დეგნანის მიერ ISFED-ის დასაცავად გაკეთებული განცხადება, რომელშიც ამ პათოსის გარდა უამრავი ლაფსუსია გახმიანებული.

„ვფიქრობ, ასევე მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ, გავიხსენოთ და შესაძლოა, გადავხედოთ ეუთო-ოდირისა და საერთაშორისო და ადგილობრივი საარჩევნო დამკვირვებლების 2020 და 2021 წლების არჩევნების შეფასებებს. ყველა მათგანი მიუთითებდა სერიოზულ დარღვევებზე, ამომრჩეველთა დაშინებაზე, ხმების მოსყიდვაზე და კარუსელებზე, ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენებაზე და სხვა დარღვევებზე არჩევნების წინა პერიოდში, ისევე, როგორც საარჩევნო დღეს. არც ერთი ანგარიში არჩევნებს სამართლიანად არ აფასებდა. „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება" არ არის პასუხისმგებელი ამ დარღვევებზე. ნათელია, რომ მათ წვლილი არ მიუძღვით ამ დარღვევებში. საზოგადოებამ დაკარგა ნდობა შედეგების მიმართ", – აღნიშნა კელი დეგნანმა.

ე.ი. ეუთო-ოდირი, საერთაშორისო და ადგილობრივი საარჩევნო დამკვირვებლები 2020 და 2021 წლების არჩევნების შეფასების დროს მიუთითებდნენ სერიოზულ დარღვევებზე, ამომრჩეველთა დაშინებაზე, ხმების მოსყიდვაზე და კარუსელებზე, ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენებასა და სხვა დარღვევებზე არჩევნების წინა პერიოდში, ისევე, როგორც საარჩევნო დღეს, მაგრამ არჩევნების შედეგები ყველამ ლეგიტიმურად ცნო და შესაბამისი დასკვნებიც დადეს.

ე.ი. რა გამოდის – ყველა ხედავდა სერიოზულ დარღვევებს, მაგრამ ამის შესახებ ხმამაღლა არაფერი თქვეს, ანუ ქალბატონი ელჩის აზრით ჩამოთვლილმა ორგანიზაციებმა იცრუეს, ხოლო „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება" „გამჭვირვალე იყო იმ შეცდომასთან მიმართებით, რომელიც მოხდა".

შეგახსენებთ იმ „შეცდომას, რომელიც მოხდა" და რომლის მიმართ „სამართლიანი არჩევნები" „გამჭვირვალე იყო".

ეს ორგანიზაცია 2020 წლის არჩევნების შემდეგ ამტკიცებდა, რომ ბიულეტენების დისბალანსი საარჩევნო უბნების 8%-ში გამოვლინდა.

ცხადია, რადიკალურმა ოპოზიციამ ეს მტკიცება გამოიყენა და შეეცადა შეექმნა პოლიტიკური კრიზისი და მოეწყო არეულობა. ასე რომ, „ეს უკვე შეცდომა აღარ არის, ეს დანაშაულია" (თუ არ ვცდები, ეს სიტყვები ჟოზეფ ფუშემ უთხრა ნაპოლეონს ენგიენის ჰერცოგის სიკვდილით დასჯის შემდეგ).

არჩევნებიდან თვენახევრის შემდეგ 11 დეკემბრის საღამოს, ორგანიზაცია სამართლიანი არჩევნების პარალელური დათვლის შედეგები ქართული ოცნების სასარგებლოდ შეიცვალა.

საბოლოოდ დადასტურდა, რომ მთელი ქვეყნის მასშტაბით 3 878 უბნიდან მხოლოდ 19 უბანზე გამოვლინდა ბიულეტენების მეტობა და ჭარბი ბიულეტენების რაოდენობა იყო 2 მილიონამდე ბიულეტენიდან მხოლოდ 25 ბიულეტენი.

3878 უბნიდან 19 უბანზე და 2 მილიონი ბიულეტენიდან მხოლოდ 25 ცალი!!!

ამ ყველაფრის გახსენების შემდეგ, საინტერესოა როგორ შეიძლება შეფასდეს ქალბატონი დეგნანის განცხადებაში ნათქვამი ფრაზა – აშშ-ს სრული ნდობა აქვს „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების", ძალიან პატივსაცემი და გამოცდილი საარჩევნო მონიტორინგის ორგანიზაციის მიმართ.

ძალიან გთხოვთ, ოცეოლაზე და ჯეფერსონზე „დიდმა" ამერიკელებმა კომენტარებისგან თავი შეიკავეთ.

ჯერ კიდევ 2017 წელს ვწერდი – ხალხო, რას გადავეკიდეთ ამ ე.წ. „არასამთავრობო ორგანიზაციებს"? ყველამ კარგად ვიცით, რომ ეგენი თავის ნაჭუჭში არიან ჩაკეტილნი და მხოლოდ იმას აკეთებენ, რაშიც დაფინანსებას იღებენ.

რას ვთხოვთ ეკა გიგაურს, ანა ნაცვლიშვილს, „ფუჩუს" და კიდევ ათას მუდრეგს?

ეგენი სულ სხვა სიბრტყეში და სულ სხვა რეალობაში სუფევენ, ჰოდა შევეშვათ საერთოდ.

არ მივაქციოთ არანაირი ყურადღება, მაგრამ ხელისუფლებას კი აუცილებლად უნდა მოვთხოვოთ, რომ ნუ ჩრიან ამ განყენებულ ხალხს სახელმწიფოებრივი საკითხების გადაწყვეტაში – როგორც კი ხელისუფლება დაანებებს თავს მათს თვალებში შიშით და მონური მორჩილებით ცქერას, ისინი მაშინვე ყოვლად უინტერესონი გახდებიან ჯერ ჩვენი მედიისთვის და მერე იმ თავიანთი დონორებისთვის.

ფილმში „პირველი მერცხალი" არის ერთი ძალიან თბილი სცენა, სადაც შეყვარებულ ხვიჩას ექიმის შვილი (ია ნინიძის გმირი) ეუბნება – მოდი, ამერიკაში წავიდეთ.

– წავიდეთ. – მაშინვე ეთანხმება ხვიჩა.

ეს სცენა ორი გულუბრყვილო ბავშვის ფანტაზიას აღწერს. ფანტაზიას, რომელიც მაყურებელში დიდ სითბოს და ბავშვობიდან მოსულ ჟრუანტელს იწვევს.

დღეს, სამწუხაროდ ასეთი სცენების ნაცვლად ვხედავთ ე.წ. სამოქალაქო სექტორისა და ოპოპარტიების ბოროტ, საზიზღარ ფანტაზიებს, რომლებსაც შედარებისთვის უფრო ფილმ „ხერხის" სცენები შეეფერება.

დიახ, ისინიც ფანტაზიორობენ, ოღონდ მათ ფანტაზიებში გალიიდან გამოშვებული ჩიტის ნაცვლად ფოტიგას და კუბილიუსის შეშფოთებული ფიზიონომიები და უაზრო რეზოლუციები ჩანს.

ჰქონდა ფანტაზია ISFED-ს მთავრობის დაკომპლექტებაში მიეღო მონაწილეობა და ამ ფანტაზიის განსახორციელებლად არაფერი რომ არ გამოუვიდა, რაღაც „ტექნიკური მთავრობა" მოითხოვა.

მწირი ინტელექტი, განუვითარებელი აზროვნება, რეალობისგან საოცარი დაშორება – აი ეს არის „ჩვენი" სამოქალაქო სექტორის ნამდვილი სახე და რაც მთავარია მსჯელობის უნარის სრული ატროფია.

ისინი თავიანთი ისედაც ვიწრო გონების ყველაზე უმცირეს უჯრედშიც ვერ უშვებენ სხვა მოსაზრების არსებობას, ვერ უშვებენ, რომ შეიძლება იყოს სხვა, მაგალითად ეროვნული ინტერესები, რომელთა გათვალისწინება მოსახლეობის უმრავლესობისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა და არსებულ მდგომარეობაში ჭკვიანური ნაბიჯების გადადგმას მოითხოვს.

ისინი არსებობენ იმ პრინციპით, რომ მათი ნათქვამი ფარაონის ნებაა და მიუხედავად „გამოხატვის თავისუფლებისა", ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე უნდა შესრულდეს.

მათ შეუძლიათ დადონ ტყუილი დასკვნა (რომელიც რეალურად ყველას ფეხებზე ჰკიდია) და ამ „დას-

კომუნიკაბელური დუგინის ტრაგედია...

...ვერავინ უარყოფს, რომ ალექსანდრ დუგინის ქალიშვილის – დარია დუგინას მკვლელობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს რუსეთ-უკრაინის ომის მიმდინარეობის კონტექსტში. კრემლი ახალგაზრდა ქალის მკვლელობას უკვე იყენებს იმისთვის, რომ უკრაინის სახელმწიფო ტერორისტული მეთოდებით მოქმედ სისტემად წარმოაჩინოს. რუსეთი 30 წლის მემილიონეხარისხოვანი პროპაგანდისტის სიცოცხლეს კიდევ მრავალჯერ შეფუთავს თავისი იმპერიალისტური დემაგოგიისათვის, მათგან მოულოდნელი აღარაფერი აღარ არის.

თქვენი ყურდღება სხვა საკითხს მინდა მივაპყრო... მკვლელობის შემდეგ კიდევ ერთხელ გამოაშკარავდა, რომ სერიოზული ცოდნა არ გვაქვს ჩვენი მთავარი ნაციონალური საფრთხის – რუსეთის შესახებ.

ალექსანდრ დუგინს ხან „პუტინის გონს", ხან „კრემლის მთავარ იდეოლოგს" და ხან „ახალი რუსეთის მომავალ არქიტექტორს" უწოდებენ – რა ეპითეტებს არ იყენებენ მის შესამკობად და მისი როლის ჰიპერბოლიზებისათვის!

დუგინს თანამედროვე რუსეთში ისეთივე გავლენა აქვს, როგორიც სააკაშვილის საქართველოში მიშა თავხელიძეს, ან სიმონ მასხარაშვილს ჰქონდათ.

დუგინი ფედერალური ტელევიზიებიდან მოშორებული ჰყავთ, ფაქტობრივად ტრიბუნას არ აძლევენ თავისი იდეების გამოსათქმელად! აკადემიიდან მასობრივი ხოცვა-ჟლეტვისკენ მოწოდების გამო გამოუშვეს (მოწოდებას სჯიან, რეალურ მოქმედებას „დენაციფიკაციას" უწოდებენ)! პარტიულ ველზე აქტიურობის სურვილი ჰქონდა და არაფერი გამოუვიდა; საზოგადოებრივ ასპარეზზე შეეცადა ფეხის მოკიდებას და ერთი მცირერიცხოვანი მოძრაობის გარდა ვერაფერი ვერ დააფუძნა; რუსეთის ეკლესიასთან დაძაბული ურთიერთობა აქვს თავისი ოკულტისტური წარსულიდან გამომდინარე.

კონცეფციები ერთიანი ევრაზიის, „რუსული სამყაროს" შესახებ დუგინამდეც ჰქონდათ და დუგინის შემდეგაც ჩამოაყალიბეს, „ევრაზიელები" კომუნისტური შეფერილობისაც არსებობენ და ნაციონალურ-კონსერვატიულისაც... როგორც ქალაქში იტყოდნენ, „ბალი ათი შაურია".

დუგინის საქმიანობა არც პოლიტიკის მეცნიერებაა, არც სოციოლოგია, არც ფილოსოფია... მას სამართლიანად მოიხსენიებენ ხოლმე გეოპოლიტიკური მისტიკის წარმომადგენლად ანუ, მსოფლიოში სივრცეების გადანაწილების იდუმალი რწმენა-წარმოდგენები და ხილვები აქვს კაცს...

მართალია რუსეთის ხელისუფლებაში მას მაინცდამაინც სერიოზულად არ აღიქვამენ, მაგრამ თავიანთი სისხლიანი ავანტიურების წარმოებისას ნამდვილად იყენებენ მისი ეკლექტური, არეულ-დარეული, მანის ფაფის კონსისტენციის მქონე კონცეფციის ელემენტებს.

მაშ, რა განაპირობებს მის პოპულარობას ჩვენთან და დასავლეთში? ძალიან კომუნიკაბელური კაცია, ყველას ელაპარაკება, ევროპის თითქმის ყველა ნაციონალისტურ–კონსერვატიულ წრესთან აქვს კავშირი დამყარებული. რუსეთიდან ბევრი არ გადის ევროპელებთან, უკრაინელებთან, ქართველებთან და სხვებთან ასეთ მჭიდრო კონტაქტზე – შესაბამისად, სხვები, უცხოელები მისი საშუალებით იღებენ ცნობებს რუსეთის საზოგადოებრივ–პოლიტიკური აზრის შესახებ და დუგინის გავლენასაც შესაბამისად აზვიადებენ.

დღეს ამ შესანიშნავ ფოტოს გადავაწყდი ერთ-ერთ გერმანულ ვებგვერდზე... რამდენი ნაძირალაა ერთ კადრში ჩატეული... თურმე, ნარინჯისფერი რევოლუციის მიმდინარეობისას ოლექსი არესტოვიჩი დუგინთან ერთად ატარებდა ბრიფინგს „რიას" ოფისში და უკრაინულ-რუსული კონსერვატიული ალიანსის მნიშვნელობაზე მსჯელობდა...

ეს არშემდგარი არარაობა გვიკითხავს ლექციებს დღეს! არარაობა მრავლობითში უნდა დამეწერა.

ლევან ლორთქიფანიძე

ჯვარს ეცვი თუ გინდა, საშველი არ არის!..

აშშ-ის ელჩს ტოტალური სიცრუე მხოლოდ გადაცდომა ან „კრიტიკული აზრი“ ჰგონია

ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი კელი დეგნანი არასამთავრობო ორგანიზაცია „სამართლიან არჩევნებთან“ (ISFED) და 2020 წლის არჩევნების შემდეგ პოლიტიკურ პროცესებში საელჩოს როლთან დაკავშირებით ხელისუფლების **ბრალდებებს** ასე უპასუხებს:

„ამერიკის საელჩოს აქვს სრული ნდობა ISFED-ს მიმართ, რომელიც არის პატივსაცემი ორგანიზაცია. ეს ორგანიზაცია მონაწილეობდა საარჩევნო რეფორმების ჯგუფში, რომელსაც თავმჯდომარეობდა პარლამენტის მოქმედი თავმჯდომარე და რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა კანონმდებლობის შემუშავებაში. მნიშვნელოვანია, გვახსოვდეს საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებები და ანგარიშები არჩევნებთან დაკავშირებით, რომელთა მიხედვით, არჩევნებში დაფიქსირდა სერიოზული დარღვევები, ე.წ. კარუსელი, დაშინება და ა.შ. როგორც არჩევნების დღეს, ასევე წინასაარჩევნო პერიოდში. ეს არჩევნები არც ერთმა ორგანიზაციამ არ შეაფასა როგორც სრულად სამართლიანი, ასე რომ, ეს დარღვევები არ არის ISFED-ს პასუხისმგებლობა. რაც შეეხება გამოთვლებში შეცდომას, როგორც კი დაადასტურეს ეს შეცდომა, რომელიც არ იყო დიდი მნიშვნელობის, შეატყობინეს საზოგადოებას, ეს იყო გამჭვირვალე. სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ ISFED და სხვა სამოქალაქო საზოგადოებები, რომლებსაც გააჩნიათ გამოცდილება მონიტორინგსა და არჩევნების ჩატარებაში, შეეძლოთ, მონაწილეობა მიიღონ საქართველოს საარჩევნო რეფორმის სამუშაო ჯგუფში. სწორედ ამისკენ მოუწოდებს ევროკომისია, ინკლუზიური პროცესისკენ, რომელიც უზრუნველყოფს, რომ ყველა მხარეს ჰქონდეს შანსი, წვლილი შეიტანოს საქართველოს საარჩევნო სისტემის გაუმჯობესებაში“.

* * *

ელჩმა დეგნანმა ასევე უპასუხა „ქართული ოცნების“ ლიდერის **ირაკლი კობახიძის განცხადებას,** რომლის თანახმად, საელჩომ, რომელიც პოლიტიკური კრიზისის მედიატორი იყო, იცოდა, რომ ISFED-ს პარალელურ დათვლაში ხარვეზი ჰქონდა.

„რა თქმა უნდა, ყველას აქვს თავისი მოსაზრების ქონის უფლება, თუმცა არ არსებობს რამე მტკიცებულება დამადასტურებელი იმისა, რაზეც იყო საუბარი. როგორც კი დადასტურდა ეს შეცდომა, ეცნობა საზოგადოებას. ეს იყო სტატისტიკური, უმნიშვნელო შეცდომა და მისი ასე წარმოჩენა ფაქტების არასწორი ინტერპრეტაციაა, რომ თითქოს რევოლუციური სცენარი იყო, ან გამიზნულად მოხდა. ყველამ ვინც მოლაპარაკებების პროცესში მონაწილეობდა, ძალიან კარგად იცის, რომ ერთადერთი მიზანი სიტუაციის დეესკალაცია გახლდათ და პარტიების პარლამენტში შესვლა, იმისათვის, რომ მათ ქვეყნისათვის მნიშვნელოვან საკითხებზე ემუშავათ“, — განაცხადა ელჩმა.

„კრიტიკული აზრის გამოთქმის უფლება დღეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია“

აშშ-ის ელჩი კელი დეგნანი „TV პირველის“, „ფორმულასა“ და „მთავარი არხის“ დასანქცირების თაობაზე კომუნიკაციების კომისიის გადაწყვეტილებას ეხმიანება და აცხადებს, რომ „კრიტიკული აზრის გამოთქმის უფლება დღეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია“.

„ძალიან სამწუხაროა მოვლენების ამგვარი განვითარება. მედიისა და სიტყვის თავისუფლება არის მნიშვნელოვანი, განსაკუთრებით კი ის უფლება, რომ შესაძლებელი იყოს კრიტიკული აზრის გამოთქმა ხელისუფლების მიმართ, ეს არის ნაწილი ნებისმიერი ჯანსაღი დემოკრატიისა. განსაკუთრებით დღევანდელ დღეს, როდესაც საქართველოს კონსტიტუციის 27-ე წლისთავს აღვნიშნავთ“, — განაცხადა ელჩმა.

კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ „ქართული ოცნების“ სარჩელი დააკმაყოფილა და სამ არხს: „მთავარს“, „ფორმულას“ და „ტელეკომპანია პირველს“ სანქცია დაადო.

კომისიის გადაწყვეტილებით, „ფორმულა“ და „ტელეკომპანია პირველი“ გააფრთხილეს, „მთავარი არხი“ კი 118 689 ლარით დაჯარიმდა. კომისიამ განმარტა, რომ „ფორმულასა“ და „ტვ პირველისთვის“ ეს პირველი დარღვევაა, ხოლო „მთავარი არხისთვის“ წელს რიგით მეხუთე.

ეგებ, სხვა მეგობრებიც გაგეჩინათ, ქალბატონო დეგნან!

...ბოლო განცხადებამ კიდევ უფრო დამარწმუნა იმ ვარაუდში, რომ ძალბატონი დეგნანი ზედმეტად ღელავს, ცძმუტავს, ადგილს ვერ პოულობს.

როგორც ერთი ძველი და ცნობილი მაქსიმა გვარწმუნებს, „არ არის ეს სამეფო საქმე“, ანუ, არ შეეფერება ზესახელმწიფოს წარმომადგენელს ასეთი ცუნდრუკი. მით უმეტეს მანდილოსანს, სიმპათიურს, გრძელთმიანს, მოქნილს...

არ ვიცი რა სამეგობრო წრე ჰყავს მას ქართულ საზოგადოებაში, მაგრამ არ იქნებოდა ურიგო სხვა მეგობრებიც გაეჩინა, მაგალითად, მეცნიერებათა აკადემიაში, დედაუნივერსიტეტში, ლეგენდარულ რუსთაველის თეატრში, კინომოღვაწეებში, მხატვრებში, მწერლებში... მანდამაინც თინეიჯერული ასაკიდან ახლად გამოსული ქალიშვილებისა და ჭაბუკების გარდა, ეგებ გაიცნოს რობერტ სტურუა, ელდარ შენგელაია, თემურ გოცაძე, ავთანდილ ვარსიმაშვილი, ლადო ათანელი, ელისო ბოლქვაძე, გია ჯაფარიძე, ვალერი ასათიანი, ნონა გაფრინდაშვილი და სხვა ჭეშმარიტი ინტელიგენტები, მოღვაწეები, საქართველოს დასავლური ორიენტაციის უერთგულესი მეკვლეები და დამცველები.

მათთან შეხვედრები, მუდმივი ურთიერთობები, მათი საჯაროდ არაერთგზის განცხადებული პოზიცია, დაგარწმუნებენ, ძვირფასო ქალბატონო დეგნან, იმაში, რომ არაფერი ემუქრება საქართველოს დასავლურ ორიენტაციას, ქართველი ხალხის აბსოლუტური უმრავლესობის მხარდაჭერას ჩვენი კონსტიტუციით განსაზღვრული პოლიტიკური კურსის, დემოკრატიული სახელმწიფოს აშენების ურყევი სურვილისადმი. ასევე, მადლიერებას და ერთგულებას აშშ-სა და დიდი ამერიკელი ხალხისადმი.

გადაჭარბებული "მზრუნველობით" მართლა ძალიან რომ მოინდომოთ (უფრო მეტად, ვიდრე ახლა აკეთებთ ამას) დახმარება და ხელშეწყობა „სწორ გზაზე“ ჩვენ დაყენებაში, მაინც ვერ გადაახვევინებთ ქართველი ხალხის აბსოლუტურ უმრავლესობას არჩეული გზიდან. ანუ, ვერცერთი ჩვენი „დაუძინებელი მეგობარი“ მაინც ვერ მოსცხებს ლაქას და ვერ მიაყენებს ზიანს აშშ-საქართველოს გულწრფელ ურთიერთობას, რომელსაც საძირკველი ჩაუყარეს გამოცდილმა და ბრძენმა ადამიანებმა მაშინ, როცა თქვენ და თქვენნაირი ანგელოზი გოგო-ბიჭები მოკლე შორტებში დატანტალებდით სკოლებში...

და თუ საჭირო გახდება, შევძლებთ ხმა (და მართალი, ობიექტური და რეალური ინფორმაცია) მივაწვდინოთ ამ პროცესის მონაწილე, ჯერ კიდევ ჯანზე და აზრზე მყოფ, ერთობ პატივსაცემ ადამიანებს. ღმერთო, დაიფარე ამერიკა და საქართველო ნებისმიერი ქვეყნის ნებისმიერი რანგის ბრიყვისგან!

ნუგზარ ფოფხაძე

საბრალონი

ანუ, ისევ გაღმა შედავების ულირსი მეთოდი...

„ქართული ოცნების“ მხრიდან ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ წარმოებული აგრესიული კამპანია საგანგაშო ნიშნულს მიუახლოვდა. სამოქალაქო ორგანიზაციებზე თავდასხმა „ქართული ოცნების“ მხრიდან ხელისუფლების საქმიანობაზე საზოგადოებრივი კონტროლის გათიშვის მიზანს ატარებს, რაც ავტორიტარიზმის კიდევ ერთი მკაფიო გამოვლინებაა და მისი ფორმირების შეუქცევად დინებაზე მიანიშნებს, — ამის შესახებ რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის ერთობლივ განცხადებაშია ნათქვამი.

იხ. 9 გვ.

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები განცხადებას ავრცელებენ — „ქართული ოცნება“ ხელისუფლების საქმიანობაზე საზოგადოებრივი კონტროლის მოშლას ცდილობს...

კვნის“ საფუძველზე შექმნან საპარლამენტო კრიზისი, რაც რამდენიმე თვე შეიძლება გაგრძელდეს, ხოლო ტყუილის გამომჟღავნების შემდეგ თავხედურად გაგრძელონ ყელყელაობა და საპარლამენტო კომისიებში ჩასმა მოითხოვონ.

დღეს ხელისუფლება ფაქტობრივად თავისუფლდება ამ უსაქმური არამზადებისგან, რომლებიც ქვეყნის ცხოვრებაში იგივე როლს ასრულებენ, რასაც გარდატეხის ასაკის ბიჭის სახეზე გამოსული ღირსეულ პასუხს აძლევს მათს ყველა გამოხდომას.

როცა ერთის შეხედვით დაუჯერებელი ფაქტების ქრონოლოგიას თვალი გადავავლე, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი იმაში, რომ ჩვენმა ხელისუფლებამ კოლოსალურ ზეწოლას გაუძლო, გაიარა ბეწვის ხიდზე და მიუხედავად ზოგიერთი არაპოპულარული ნაბიჯისა, რომლებიც იძულებით იქნა გადადგმული, კვლავ ინარჩუნებს საქართველოს მოსახლეობის მაღალი ნდობის ხარისხს.

ჩემი აზრით, ყველა გამოხმაურება საელჩოს დამოკიდებულებაზე ე.წ. არასამთავრობო სექტორის პრივილეგირებულ წარმომადგენლებთან მიმართებაში, აუცილებლად უნდა ითარგმნოს და გავრცელდეს დასავლურ მედიაში, რათა გადასახადის გადამხდელებმა გაიგონ, თუ როგორ უწყობენ ხელს მათი კონკრეტული წარმომადგენლები რუსული განწყობების გაღვივებას და სრულ იგნორს უკეთებენ აშშ-სა და საქართველოს მეგობრობას და სტრატეგიულ პარტნიორობას.

ესენია ვადამდელი არჩევნების დანიშვნაზე მუდმივი ზეწოლა, მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი ნაბიჯისთვის არანაირი ლეგიტიმური საფუძველი არ არსებობდა.

პროვოკაციების წახალისება. მაგ: ლგბტ, თემის პრაიდების ჩატარების მოთხოვნა, სიცრუისა და ფსიქოლოგიური ზეწოლის რეჟიმში მომუშავე მედიის ხელშეწყობა და მათზე მოსახლეობის გარკვეული წარმომადგენლებისგან უხეშობის არაადეკვატური შეფასება დ.ა.შ.

და ბოლოს — ბიძინა ივანიშვილზე შვეიცარიული ბანკის მხრიდან განხორციელებული ზეწოლა, საქართველოს ომში ჩართვისთვის მისი სახელისუფლებო გუნდის გამოყენება. ამ მიზნით შვეიცარიული მედიის დაბლოკვა, რათა ეს ამაზრზენი ფაქტი დემოკრატიული საზოგადოებისთვის ცნობილი არ გამხდარიყო.

წერილს კი ერთი ძველი ამერიკული ანეკდოტით დავამთავრებ:



რატომ არ ხდება აშშ-ში სახელმწიფო გადატრიალება?

იმიტომ, რომ იძ აშშ-ს საელჩო არ არის.

გია გაბრიჭიძე

ბრიტანეთის ელჩმა გურულ „ველოდღეებში“ გაინავარდა

ბრიტანეთის ელჩი **მარკ კლეიტონი** გურიაში ჩატარებულ „ველოდღეებს“ SOBNNTH-ზე ეხმაურება და ოზურგეთის მერიას მადლობას უხდის.

„არაჩვეულებრივი უქმეები გავატარე ულამაზეს გურიაში, სადაც „კავკასიის ველოქსელისა“ და ოზურგეთის მერიის მიერ ორგანიზებულ „ველოდღეებში“ მივიღე მონაწილეობა. მადლობა ადგილობრივ ხელისუფლებას მასპინძლობისთვის, ჯანსაღი ცხოვრების წესისა და ამ ულამაზეს რეგიონში ტურიზმის პოპულარიზაციისთვის“...



უვიცობა როგორც ცალკეული ადამიანის, ისე მთელი ერისა, მთელი სახელმწიფოს ყველაზე დიდი უბედურებაა. სწორედ უვიცობის გამო სჩადის ადამიანი, თუ ხალხი საბედისწერო შეცდომებს, რომელიც ხშირად კატასტროფით მთავრდება. ადამიანთა შორის კონფლიქტები, თუ სახელმწიფოთა ურთიერთდაპირისპირებანი დიპლომატიური ძალისხმევის უშედეგობა და მისი ჩანაცვლება ომით, სწორედ უვიცობის შედეგია, და არა არგუმენტების დეფიციტისა.

უვიცობა ერთგვაროვანი არ არის. იგი, ძირითადად ორგვარია. ერთია, როცა უვიცი, ანუ ბრიყვი ბავშვია, ან ყმაწვილი, მაგრამ ამ შემთხვევაში მათი უვიცობა უგინცი (ძველ ქართულად „უიმედოს“ ნიშნავს) არ არის, რადგან იმის იმედი, რომ ბავშვი, თუ ყმაწვილი რაიმეს უთუოდ ისწავლის და უვიცობას დაძლევს, მეორე შემთხვევაში, როდესაც უვიცი ასაკოვანი, ან უფრო უარესი, ხანდაზმული ადამიანია, მაშინ უვიცობის უგინცობასთან გვაქვს საქმე. აბა, როდესაც სუპერსახელმწიფოს პრეზიდენტის წარმომადგენელმა ევროპაში, გეოგრაფია არ იცის, ან რომელიმე პატარა ქვეყნის, მაგრამ დიდი წარსულის მქონე სახელმწიფოს პრეზიდენტმა თავისი ქვეყნის ისტორია არ იცის, უფრო მეტიც, ელემენტარული წარმოდგენაც კი არ აქვს იმ ქვეყნის უახლოეს წარსულზე, რომლის ე.წ. პრეზიდენტიც თვითონ არის, რა თქმა უნდა სრულიად აშკარაა უვიცობის უგინცობა.

უვიცობის უგინცობა

ჭკუიდან გადასული ნახევარი მსოფლიოს უსაქციელობის ქრონიკები

(წერილი მეორე)

ჩემი მიზანი სულაც არ არის კოლექტიური დასავლეთისა თუ ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებაში მომრავლებული უვიცობის ფაქტებზე წუხილი და ცრემლის ღვრა, მაგრამ რადგან ჩვენი ხელისუფლება კარგა ხანია ჩაგვჩიჩინებს – ჩვენ ევროპის ისტორიული ნაწილი ვართ და აშშ ჩვენი სტრატეგიული პარტნიორიაო, მიმაჩნია, რომ დასავლური პოლიტიკური ლიდერების უვიცობის მსხვერპლი შეიძლება ჩვენც გავხდეთ, თუ რა თქმა უნდა, არ გავმეცადინდით და დროზე არ მოვეგეთ ჭკუას.

არავინ არის ვალდებული ლიტონ სიტყვებზე ენდოს პუბლიცისტს და ფაქტების გარეშე ირწმუნოს რაიმე პოლიტიკური, თუ ეკონომიკური კონცეფცია, მცდარი თეორიებისადმი გაუცნობიერებელმა რწმენამ და მიყოლამ რა შედეგიც გამოიღო, ჩვენ ყველამ ვნახეთ, ჯერ „კომუნიზმის სამოთხის“ სახით, მერე კი ევრო-ატლანტიკური „დემოკრატიის წიაღში“ ჩვენი „დაბრუნების“ რეალური პერსპექტივის გამოისობით. ამიტომ, ფაქტებით ვისაუბროთ, ძვირფასო მკითხველო. ნებისმიერი ცოდნა მხოლოდ ფაქტების ადეკვატურ აღქმასა და ანალიზზეა დაფუძნებული. ის, ვითომ მოსწრებული პასუხი, რომელიც ერთმა ცნობილმა მეცნიერმა გასცა ოპონენტს ერთობ სერიოზულ შენიშვნაზე: ფაქტები სხვა რამეზე მიუთითებენო – მით უარესი ფაქტებისთვისო – მხოლოდ მოსწრებული ხუმრობაა და სხვა არაფერი. **რაც შეეხება ჟურნალისტ-პოლიტიკოსის, ე.წ ტელეარხ „მთავარის“ უფროსის ნათქვამს, მთავარი ფაქტები კი არა, აღქმებიაო, სრული იდიოტობა და ბრიყვებისთვის მიგდებული დემაგოგიაა. აღქმა ფაქტის გარეშე ილუზიაა და რა უბედურებაცაა ილუზიაში ცხოვრება, ეს კარგად ჩანს ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების მაგალითზე.**

ახლა შევეცდები თქვენთან ერთად, ის უვიცობანი განვიხილო რამაც სავალალო გავლენა მოახდინა (და ახდენს) ჩვენს პოლიტიკურ ორიენტაციასა და მის პრაქტიკულ შედეგებზე.

პირველი დიდი და საბედისწერო უვიცობა იყო ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელების მიერ საქართველოს მეგობარი და სტრატეგიული მოკავშირე ქვეყნების განსაზღვრა-დაკანონება. ვინ იყვნენ ეს ქვეყნები? – ნატოს წევრი სახელმწიფოები და ამერიკის შეერთებული შტატები!

ამ უვიცობასა და სიბრიყვეს რომ ვიხსენებ, ინგლისის დიდი პრემიერ-მინისტრის უინსტონ ჩერჩილის ისტორიული ნათქვამი მახსენდება: ინგლისს არ ჰყავს მუდმივი მეგობრები, მას აქვს მუდმივი ინტერესებიო. მსოფლიო ისტორიის შესახებ ზერელე ცოდნა მაინც თუ გაქვს, ის არ უნდა იცოდე, რომ სახელმწიფოთაშორის ურთიერთობას ინტერესები განსაზღვრავს და არა მეგობრული გრძნობები? ეს სიყალბე და მავნე პოლიტიკური უვიცობა „დიდმა პოლიტიკოსმა“ და „გერმანიის გამაერთიანებელმა“ (რომელმაც ცხინვალი ვერ შეიერთა შიდა ქართლის რეგიონს!) ედუარდ შევარდნაძემ დაამკვიდრა. საქართველოში მისი „მეორედ მოსვლის“ შემდეგ, ჩვენთან ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა თურქეთის პრემიერ-მინისტრი სულეიმან დემირელი. საქართველოს მაშინდელმა პრეზიდენტმა შევარდნაძემ მასთან შეხვედრისას განაცხადა: თურქეთი ჩვენი ისტორიული მეგობარიაო.

შე კაი კაცო, ახლა სხვა რეალობაა, XVI საუკუნეში სხვა რეალობა იყო და, ბუნებრივია, მეზობელ თუ შორეულ ქვეყანასთან ურთიერთობა დღევანდელი ინტერესების შესაბამისად უნდა ააწყო, მათ შორის თურქეთთანაც, მაგრამ ისტორიის სრული უვიცობის დემონსტრირება ძალიან ცუდია. თურქეთი დღეს შეიძლება ძალიან კეთილი მეზობელიც არის, მაგრამ ისტორიულად ჩვენი დაუძინებელი მტერი იყო, ისეთი უვიცობა, რაც მაშინდელმა ჩვენმა პრეზიდენტმა გამოამჟღავნა, ნამდვილი უგინცობაა. შესაძლებელია, შევარდნაძეს ის „ისტორიული შეფასება“ უვიცობით არ მოსვლია და, უბრალოდ, პოლიტიკური სიცრუე იყო, მაგრამ ხალხის მასამ შესაძლოა იგი პირდაპირი მნიშვნელობით გაიგო და შემდგომი პოლიტიკური პროპაგანდის განუწყვეტელი ზემოქმედების შედეგად ჩამოუყალიბდეს შეხედულება: „თურქეთი ისტორიული მეგობარია, რუსეთი კი ისტორიული მტერი.“ აი, ასეთი შეხედულება კი უვიცობის უგინცობაა, სწორედ!

ამ უგინცობას ამყარებს საქართველოს დღევანდელი პრეზიდენტის სრულიად არაკომპეტენტური (თუ მეტი არა!) განცხადება: „1801, 1921, 1992, 2008-ეს თარიღები თითოეულ ქართველს სამუდამოდ ემახსოვრება. ისინი რუსეთის შეიარაღებული აგრესიისა და ოკუპაციის დაუნდობელ პოლიტიკას ასახავენ“.

ეს ისტორიის საკითხების ცოდნაში სრული არაკომპეტენტურობა კი არა, უგინცი უვიცობის ნიმუშია და აი, რატომ: 1801 წელს რუსეთის ჯარი სასულე ორკესტრის საზეიმო მარშის ჰანგების თანხლებით, რუსეთის იმპერატორის მანიფესტის საფუძველზე შემოვიდა თბილისში. მანიფესტი აღმოსავლეთ საქართველოს რუსეთის შემადგენლობაში შეყვანის შესახებ, იმდროინდელი ქართველი არისტოკრატიის დაჟინებული არაერთგზის თხოვნის შედეგად იქნა მიღებული. არავითარი ბრძოლა, ოკუპაცია და მსგავსი რამ არ ყოფილა! ამის უცოდინრობა ელემენტარულად განათლებულ ქართველს არ ეპატიება!

1921 წელს საქართველოში აძაური ბოლშევიკების დასახმარებლად შემოვიდა არა რუსეთის არმია, არამედ ბოლშევიკური წითელი არმია, რომლის შემადგენლობაში ათეულობით სხვადასხვა ერის წარმომადგენელი იყო. ამ წითელი არმიის მეთაური გახლდათ სამუელ ბუაჩიძე, კომისარი- შალვა ელიავა, საერთო პოლიტიკური ხელმძღვანელი კი სერგო ორჯონიკიძე. რუსეთის არმია ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ოთხი წელი ებრძოდა რუსეთის ბოლშევიკურ ხელისუფლებას, ანტანტის დახმარებით, მაგრამ უშედეგოდ. 1921 წელს საქართველოში შემოსულმა წითელმა არმიამ საზღვარგარეთ გააძცია ყორდანიას გზააბნეული, შეშინებული მთავრობა. მათთან ერთად საქართველოს დღევანდელი პრეზიდენტის წინაპრებიც!

ეს არის ისტორიული სიმართლე და არა უვიცობის უგინცობა!

1992 წელს კანონიერი პრეზიდენტის მომხრეთა შეიარაღებულ რაზმებთან ბრძოლაში დასამარცხებლად განწირული პუტჩისტების დასახმარებლად დასავლეთ საქართველოში შემოსული ბალტინის საზღვაო ქვეითები იმდროინდელი საქართველოს სამხედრო საბჭოს (შევარდნაძე, სიგუა, იოსელიანი, კიტოვანი და სხვები) თხოვნით მოქმედებდა.

აი, ეს არის სიმართლე, სხვა რამ კი უგინცი უვიცობაა!

2008 წლის შესახებ დღევანდელი რიტორიკა უკვე უვიცობაც კი აღარ არის, უფრო მეტია! 2008 წლის რუსეთ საქართველოს ომის (თუ ესეც ომია?!) ჩვენი სახელისუფლო შეფასებები ყოველგვარ აზრს არის აცდენილი და მას მხოლოდ ტრაგი-კომედია შეიძლება ეწოდოს. ჩვენი ოფიციოზი ერთი მხრივ სააკაშვილის სახელისუფლო ხროვას ლანძღავს (სამართლიანადაც!) იმის გამო, რომ მათი მაპროვოცირებელი გამიზნული ღალატის გამო საქართველომ მხოლოდ დე ფაქტოდ კი არა, დე იურედაც დაკარგა ქვეყნის ტერიტორიის 20%, ათობით სოფელი და სხვა დასახლებული პუნქტები, რუსეთს საშუალება მისცა სამხედრო ბაზები განელაგებინა საქართველოს ძირძველ ტერიტორიაზე, ხოლო მეორე მხრივ, მოღალატედ თვლიან იმას, ვინც იტყვის, რომ ომი სააკაშვილის ხელისუფლებამ დაიწყო და ქართული ჯარი ღამით შეიჭრა ცხინვალშიო. სამშობლოს ინტერესების მოღალატე სააკაშვილს იმაში სდებენ ბრალს, როგორ აღიარა ის, რომ ომი საქართველომ დაიწყოო.

არ არის ეს წმინდა წყლის უვიცობა ისტორიის, დიპლომატიის, ლოგიკის, ფსიქოლოგიის, სამხედრო სტრატეგიის და ბევრი სხვა მიმართულებითაც? ეს არა მარტო სრული უვიცობა, არამედ უგინცობაცაა, რადგან საღი აზროვნების ყოველგვარ იმედს სპობს!

ასეთმა უაზრო, ანუ ულოგიკო ლოგიკამ პოლიტიკურ ჩიხში შეიყვანა ხელისუფლება. ომი თუ საქართველოს ხელისუფლებამ კი არა, რუსეთმა დაიწყო, ტერიტორიების დაკარგვისათვის სააკაშვილს რატომ ლანძღავენ? რუსეთი რომ არ დაამარცხა, იმიტომ? რუსეთს ერთი მუჭა საქართველო კი არა, მთელი აშშ თავისი ნატოთი ვერაფერს აკლებს და, საქართველოს ერთ-ერთი თავდაცვის მინისტრის თქმისა არ იყოს, ქართველები „რაგატკებით“ ხომ ვერ ჩამოყრიდნენ რუსულ თვითმფრინავებს.

აი, ეს არის სიმართლე. სხვა ყველაფერი ბლეფი და საკუთარ თავზე ლაფის დასხმაა!

იხ. 9 გვ.



ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლისა და სამი საბჭოთა რესპუბლიკის ჩამოყალიბების პროცესს იმ დროს სათავეში ქართველი ბოლშევიკი სერგო ორჯონიკიძე ედგა. საზღვრების დადგენისას აზერბაიჯანელმა პარტიულმა ამხანაგებმა სთხოვეს სერგოს, საინგილო (კახის რაიონი) მუსულმანებით არის დასახლებული და ჩვენ გადმოგვეცი, რათა სარწმუნოებრივ ნიადაგზე ქრისტიანებთან რაიმე დისკომფორტი არ შეექმნათო. კარგიო, – დაეთანხმა სერგო. როგორც ცნობილია, მაშინდელი ქართველი ინტელიგენციის ცნობილი წარმომადგენლები ეწვივნენ სერგო ორჯონიკიძეს და სთხოვეს, საინგილო ისტორიული საქართველოს ნაწილია, ინგილოები ეთნიკური ქართველები არიან და ნუ გადასცემთ სხვა სახელმწიფოსო. რა სხვა სახელმწიფოსო – გაიკვირვა სერგომ, – ჩვენ ყველანი კომუნიზმში მივდივართ და რა მნიშვნელობა აქვს ინგილოები მარქსიზმს აზერბაიჯანულად ისწავლიან თუ ქართულადო.

„საქართველოს დედა“, საერთაშორისო პატრიოტი, დიდი მეცნიერი

ასი წლის წინ, 28 აგვისტოს, მარიამ ღვთისმშობლის მიძინების დღეს – მარიამობას დაიბადა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, აკადემიკოსი მარიამ ლორთქიფანიძე. სწორედ ამ დღემ განსაზღვრა მისი რთული, ამასთან წარმატებული მომავალი. ღირსებით გამორჩეულმა ოჯახმა მას მაღალი განათლება და კულტურა შესძინა.

მარიამ ლორთქიფანიძე ქართველ ისტორიკოსთა იმ სკოლის წარმომადგენელია, რომელსაც საფუძველი დაუდო დიდმა ივანე ჯავახიშვილმა.

მარიამ ლორთქიფანიძის კალამს ეკუთვნის 200- მდე ნაშრომი, მათ შორისაა რამდენიმე მონოგრაფია, სამეცნიერო სტატიები, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქართული მედიევისტიკის განვითარებაში, შუქი მოჰფინეს მევრ, მანამდე გადაუჭრელ პრობლემას. ამავე დროს მარიამ ლორთქიფანიძე გულმხურვალედ და შემართებით ეხმაურებოდა საზოგადოებრივი ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებს, პირნათლად იხდიდა მეცნიერ-პატრიოტის ვალს სამშობლო ქვეყნის წინაშე.

მარიამ ლორთქიფანიძემ 1939 წელს წარჩინებით – ოქროს მედალზე დაამთავრა თბილისის 25-ე საშუალო სკოლა, რის შემდეგაც მან თბილისის უნივერსიტეტს მიაშურა. ალმა-მატერმა თავისი გავლენა იქონია მომავალ მეცნიერზე. 1943 წელს ისტორია-ფილოსოფიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, მარიამ ლორთქიფანიძე იმავე წელს ჩაირიცხა ასპირანტურაში საქართველოს ისტორიის სპეციალობით. მისი ხელმძღვანელი აკადემიკოსი სიმონ ჯანაშია იყო.

1947 წელს მარიამ ლორთქიფანიძემ მუშაობა დაიწყო ივ.ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში. მარიამ ლორთქიფანიძემ არსებული ქართული, სომხური და არაბული წყაროების საფუძველზე მონოგრაფიულად შეისწავლა თბილისის საამიროს ისტორია. საკმაოდ მკვეთრად გამოიკვეთა საქართველოსა და სახალიფოს ურთიერთობისა და საქართველოში არაბთა მფლობელობის ისტორიის საკითხები. აღნიშნული მუშაობის შედეგი იყო მარიამ ლორთქიფანიძის გამოკვლევები ჰაზიზ იბნ მასლამას „დაცვის სიგელი“ (თარგმანი და გამოკვლევა, 1951 წ.), „თბილისის საამიროს ისტორია“, „ქართველი და სომეხი ხალხების ბრძოლა არაბ დამპყრობელთა წინააღმდეგ“ და სხვ.

1948 წელს მარიამ ლორთქიფანიძემ წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე – „თბილისის საამირო“. იმავე წელს იგი მიწვეულ იქნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საქართველოს ისტორიის კათედრაზე დოცენტის თანამდებობაზე.

მარიამ ლორთქიფანიძე ფართო დიაპაზონის მეცნიერი იყო. იგი იკვლევდა საქართველოს შუა საუკუნეების სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, სახელმწიფო წყობილების და კულტურის ისტორიის საკითხებს. აგრეთვე დიდ ადგილს უთმობდა ქართულ წყაროთმცოდნეობასა და ისტორიოგრაფიას. მარიამ ლორთქიფანიძის მონოგრაფიაში –- „ქართლი V საუკუნის მეორე ნახევარში“ (1979 წ.) განხილულია ვახტანგ გორგასლის მოღვაწეობა და ადრეფეოდალური საზოგადოების ჩამოყალიბების საკითხები; ხაზგასმულია დიდი მეფის საეკლესიო საქმიანობა. მეცნიერის კვლევა-ძიების შედეგების ერთი ნაწილი თავმოყრილია ფუნდამენტურ გამოკვლევაში „საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება“. ნაშრომში ერთიანი საქართველოს ფეოდალური მონარქიის შექმნა განხილულია მახლობელ აღმოსავლეთში მიმდინარე ისტორიულ მოვლენებთან კავშირში: შესწავლილია ქვეყნის გაერთიანების სოციალურ-ეკონომიკური საფუძვლები, ქართული ეკლესიის როლი საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლაში. დადგენილია, რომ ქართული ქვეყნების გაერთიანების პროცესი სამეფო-სამთავროების ჩამოყალიბებით დაიწყო. მ. ლორთქიფანიძემ სადოქტორო დისერტაცია დაიცვა 1963 წელს. იგი მალე თბილისის უნივერსიტეტის პროფესორად აირჩია. 1972 წელს მარიამ ლორთქიფანიძე საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე გახდა.

მარიამ ლორთქიფანიძე მეგობარ ისტორიკოსებთან

მარიამ ლორთქიფანიძის მონოგრაფიაში „საქართველო XI-XIII საუკუნეებში“, რომელიც რუსულ ენაზე გამოიცა, წარმოჩენილია ისტორიული საფუძვლები, რომელთაც განაპირობეს მახლობელ აღმოსავლეთში საქართველოს ძლიერი ქრისტიანული სახელმწიფოს შექმნა, წარმოჩენილია საქართველოს ავანგარდული როლი იმდროინდელ კავკასიაში, მოცემულია XI-XIII საუკუნეების საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ისტორიის ნათელი სურათი. ამ ნაშრომისათვის მიენიჭა ივ.ჯავახიშვილის სახელობის პრემია. 1987 წელს ინგლისურ ენაზე გამოიცა მარიამ ლორთქიფანიძის „XI-XII საუკუნეების საქართველოს ისტორია“. 1966 წელს, რუსთაველის რვაასწლოვანი იუბილის დროს, გამოცემული „რუსთაველის ეპოქა“ (ქართულ და რუსულ ენებზე) პოპულარულად წარმოაჩენს საკითხთა იგივე წრეს, აღწერს „ოქროს ხანას“ საქართველოში.

მარიამ ლორთქიფანიძემ მნიშვნელოვანი ამაგი დასდო „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ რვატომეულის შექმნას. იგი აქტიურად მონაწილეობდა „ნარკვევების“ II და III ტომებში. თანაავტორია სწორედ ამ ტომებში გამოქვეყნებული საკითხებისა. ავტორთა კოლექტივი, მათ შორის მარიამ ლორთქიფანიძე 1980 წელს სახელმწიფო პრემიით დააჯილდოვეს.

მარიამ ლორთქიფანიძემ თავის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო საქართველოს გლეხობის ისტორიის კვლევას. აქვე გააშუქა აზნაურთა ფენის წარმოქმნა-ჩამოყალიბების პრობლემებიც. მეცნიერის ნაშრომები: „ძირითადი საზოგადოებრივი კლასები IX-X საუკუნეების საქართველოში“, „ბატონყმობის გამარჯვების საკითხისათვის“, „საქართველოს გლეხობის ეკონომიკური მდგომარეობა VI-XIII საუკუნეების საქართველოში“ (კოლექტიური ნაშრომის ერთი ნაწილია) და სხვ. მნიშვნელოვან დებულებებსა და დასკვნებს შეიცავს საქართველოს გლეხობის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის, აზნაურთა სტატუსისა და მათ მიერ მიწების ფლობის შესახებ. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის პირველი მეფის ბაგრატ III-ის ცხოვრებასა და მოღვაწეობას („ბაგრატ III“).

გამორჩეულად საინტერესოა მარიამ ლორთქიფანიძის ნაშრომი „ქალაქის მოხელეთა საკითხისათვის ფეოდალურ საქართველოში (არაბული სახელწოდების მოხელენი)“. მეცნიერი ასკვნის, რომ ქართულ ქალაქებში არაბული სახელწოდების სამოხელეო ინსტიტუტები (ამირა, შურტა, მუჰთასიბი) განსხვავდებიან თავისი არსით სახალიფოს ქალაქებში მოღვაწე იმავე სახელწოდების მოხელეებისაგან. ეს კი აიხსნება მათზე ქართული სინამდვილის გავლენით. საგულისხმოა, რომ საქართველოს სახელმწიფო მონარქიის უმნიშვნელოვანესი მოხელე „ვაზირი“, მარიამ ლორთქიფანიძემ დაუკავშირა ქართულ ნიადაგზე აღმოცენებულ „უხუცესთა“ ინსტიტუტსა და საინტერესო დასკვნები მოგვცა მის შესახებ.

მეცნიერმა თავის შემოქმედებაში გარკვეული ადგილი დაუთმო ქართული ისტორიული აზროვნების საკითხებს. შრომებში: გიორგი მთაწმინდელის „იოანესა და ექვთიმეს ცხოვრება“ და გიორგი მცირეს „გიორგი მთაწმინდელის“ ცხოვრება“, როგორც საისტორიო წყარო“ (1984 წ.) და სხვ. მარიამ ლორთქიფანიძემ საგანგებოდ განიხილა ქართული სამოქალაქო საისტორიო მწერლობის წარმოშობის საკითხი, მართებულად დაუკავშირა ის წინაქრისტიანული ხანის ქართულ საისტორიო აზროვნებას და აღნიშნა, რომ „მოქცევა ქართლისაჲ“-ს ე.წ. „ქრონიკა“ არის ჩვენამდე მოღწეული უძველესი სამოქალაქო საისტორიო თხზულება.

მარიამ ლორთქიფანიძემ დიდი ამაგი დასდო ქართული საისტორიო წყაროების რუსულად თარგმნას. მეცნიერმა თარგმნა და რუსულად გამოსცა „ქართლის ცხოვრების“ თხზულებები: „მატიანე ქართლისა“ და სუმბატ დავითის ძის „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონთა“. აღნიშნული გამოცემებისათვის მარიამ ლორთქიფანიძეს ნიკოლოზ ბერძენიშვილის სახელობის პრემია მიენიჭა. მის მიერ დამუშავებული ეს თხზულებები შევიდა 2008 წელს გამოცემულ „ქართლის ცხოვრებაში“, რუსული თარგმანები კი იმავე წელს გამოცემული „ქართლის ცხოვრების“ რუსულ ვარიანტში. „ქართლის ცხოვრების“ ახალ გამოცემაში გაწეული შრომისათვის მარიამ ლორთქიფანიძეს მიენიჭა ივანე ჯავახიშვილის სახელობის საკავადემიო პრემია (სხვა ავტორებთან ერთად).

აღსანიშნავია, რომ მარიამ ლორთქიფანიძემ მონაწილეობა მიიღო აფხაზეთის ისტორიის ნარკვევების შექმნაში. იყო პირველი ტომის ავტორი (სხვა მეცნიერებთან ერთად), კერძოდ მან დაწერა აფხაზეთის ადრეფეოდალური ხანის ისტორიის მონაკვეთი (1960 წ.). ეს გარკვეული წვლილი იყო აფხაზეთის ხალხის ისტორიის შესწავლის საქმეში.

ნაშრომში „აფხაზები და აფხაზეთი“ (ქართულ, რუსულ, ინგლისურ ენებზე) მარიამ ლორთქიფანიძეს განხილული აქვს აფხაზეთის ისტორია და მისი ადგილი საქართველოს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში, ცნების – „აფხაზების“ და „აფხაზეთის“ მნიშვნელობა, ამ ტერმინის შინაარსის ცვლა სხვადასხვა ეპოქაში. დასაბუთებულია, რომ აფხაზეთი ყოველთვის საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო.

მარიამ ლორთქიფანიძემ საგანგებოდ შეისწავლა და რამდენიმე ნაშრომი მიუძღვნა ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობასა და მათ ერთობლივ ბრძოლას უცხო დამპყრობთა წინააღმდეგ, ქართული და სომხური ეკლესიების ურთიერთობას. მეცნიერმა გარკვეული ადგილი დაუთმო საქართველოსა და ბიზანტიის ურთიერთობების შესწავლას. ერთ-ერთ ნაშრომში წარმოადგინა ბიზანტიურ-ქართული კულტურული ურთიერთობების პერიოდიზაცია (1982 წ.).

მარიამ ლორთქიფანიძემ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა თბილისის ისტორიის შესწავლაში „თბილისი IV-X საუკუნეებში“ (წიგნში „თბილისის ისტორია“, I, 1990 წ.); „თბილისი“ (IV-XII სს.-ის დასაწყისი) რუსულ ენაზე (1991 წ.), „ძველი თბილისის ისტორიული გეოგრაფიიდან (სოღდებილი)“, 1954 წ., „ქალაქის მოხელეთა საკითხისათვის ფეოდალურ საქართველოში“ (1954 წ.) და სხვ.).

მარიამ ლორთქიფანიძე აქტიურად იცავს ჩვენი ქვეყნის ისტორიას მეცნიერულ გამყალბებელთაგან. მან საგანგებო წერილში, რომელიც 1968 წელს რუსულ ენაზე გამოქვეყნდა (მაცნე, №4), ამხილა სომეხი მეცნიერის პ.მურადიანის თვალსაზრისის უსაფუძვლობა მცხეთის ჯვრის ამშენებლად სომეხი ხუროთმოძღვრის გამოცხადების შესახებ, აგრეთვე, გაილაშქრა (შოთა მესხიასთან ერთად) ვერმიშევის რომანის „ამირსპასალარის“ წინააღმდეგ. რეცენზია („მრუდე სარკეში“) გამოქვეყნდა გაზეთ „კომუნისტში“ (1969 წ., №10). დაბეჭდა რეცენზია რ.ვახიტოვის წერილზე (რ.ვახიტოვი - ბაშკირეთის სახ. უნივერსიტეტის დოცენტი, ისტორიის მეცნიერებათა კათედრა, Литературная газета, 2008 წ., 6-11 ნოემბერი), (თანაავტორი გ.ოთხმეზური - „შეუგნებელი არაკომპეტენტურობა თუ შეგნებული სიყალბე), გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2009 წ, 27, 28, 29, 30 იანვარი.

მარიამ ლორთქიფანიძე თანაავტორია საქართველოს ისტორიის საშუალო სკოლის VIII-IX კლასების სახელმძღვანელოსი (რუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე). ამასთანავე, თანაავტორი იყო VII და X კლასების საშუალო სკოლის სახელმძღვანელოებისა. მისი თანაავტორობითა და რედაქციით გამოიცა საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო სტუდენტებისათვის (2006 წ.). არის საქართველოს ისტორიის ოთხტომეულის მთავარი რედაქტორი.

ამერიკის ბიოგრაფიის ინსტიტუტმა მარიამ ლორთქიფანიძე 1997 წლის გამოჩენილ ადამიანად გამოაცხადა.

იმავე ინსტიტუტმა მარიამ ლორთქიფანიძე აირჩია XX საუკუნის გამოჩენილ ქალად, ხოლო 2009 წელს აირჩია ,,დიდების დარბაზის წევრად“. XX საუკუნის გამოჩენილ ქალად გამოაცხადა ქალბატონი მარიამი კემბრიჯის ინტერნაციონალური ბიოგრაფიის ცენტრმა.

1975 წელს მარიამ ლორთქიფანიძეს საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება მიენიჭა. 1983 წელს იგი აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, 1993 წელს – ნამდვილ წევრად. ქალბატონი მარიამი წლების მანძილზე იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის „შრომების“ მთავარი რედაქტორი.

მარიამ ლორთქიფანიძე არჩეულია თბილისის საპატიო მოქალაქედ.

განსაკუთრებულად უნდა გამოვყოთ მარიამ ლორთქიფანიძის დაჯილდოება ქართული მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთი – წმინდა გიორგის ოქროს ორდენით. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ საზეიმო ვითარებაში გადასცა მეცნიერს ეს ჯილდო, თბილად დალოცა და საქართველოს დედა უწოდა.

დღეს ქართველი საზოგადოება აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 100 წელს აღნიშნავს; პატივს მიაგებს მის ხსოვნას და ადასტურებს, რომ გამოჩენილი მეცნიერისა და ღირსეული საზოგადო მოღვაწის სახელი არასდროს იქნება დავიწყებული.

როინ მეტრეველი

არა
– ეროვნებას,
– სამშობლოს,
– რწმენას,
– ისტორიას,
– სქესს და

„ამერიკული დახმარება“

ბანძოს მოყვარულებს უთუოდ ეცოდინებათ ინტელექტუალური, ერთობ პრესტიჟული თამაში „პრეფერანსი“...

თამაში, რომელიც XIX საუკუნის შუა ხანების რუსეთში გამოიგონეს, რომლსაც, როგორც წესი, ფულზე თამაშობენ, რითიც ერთობოდა ჯერ რუსეთის, ხოლო შემდეგ განათლებული, დემოკრატიული ევროპის **(ყოველგვარი ირონიის გარეშე, რადგანაც მაშინ XIX-XX საუკუნეებში ჯერ არ არსებობდა ტერმინი, ე.წ. „განათლებული, დემოკრატიული, კოლექტიური დასავლეთი“, რომლის განათლებულობაზე და მითუმეტეს დემოკრატიულობაზე, ირონიის გარეშე საუბარი, დღეს შეუძლებელია)** არისტოკრატია...

პრეფერანსში არის ტერმინი ე.წ. „ამერიკული დახმარება“, რომელიც თამაშისას თუ დაგჭირდა, მორჩა, გათავდა, თამაში წაგებულია და შეგიძლია ჯიბეცარიელი გაუყვე სახლისკენ მიმავალ გზას.

ვისთვისაც პრეფერანსი, რომ იტყვიან „ჩინურია“, შევეცდები მოკლედ ავხსნა, თუ რაში მდგომარეობს ე.წ. „ამერიკული დახმარების“ დამანგრეველი არსი – მეტოქე „გეხმარება“ ერთი ქულით და იქვე შენგან მიაქვს 10...

უკვე XIX საუკუნეში გამოავლინეს აშშ-ს საკუთარი მტაცებლური მენტალიტეტი და ამიტომ რუსებმა თავისივე გამოგონებულ პრეფერანსში, სპეციალური ტერმინით „ამერკული დახმარება“, ბანქოშიც ხაზი გაუსვეს ანგლოსაქსების ჩვეულ „უანგარობას“, კაცთმოყვარეობას (ინდიელთა გენოციდი), ღვთისმოსაობას (მართლმადიდებელი სერბეთის მიწასთან გასწორება) და ა.შ. სხვა მრავალ „კეთილ თვისებებს“, რომლებზედაც ქვემოთ კიდევ გვექნება საუბარი...

და რა შუაშია წინამდებარე წერილის სათაურში ხსენებული 5 არა და აშშ?

რომ იტყვიან, შუაში კი არა თავშია – ეს საქართველოსა და სხვა ჭეშმარიტად კულტუროსანი ერების ამომგდები აგრესიული ნეოლიბერასტული, სატანისტური ძალები, რომლებსაც მიზნად დაუსახავთ წინამდებარე წერილის სათაურში ხსენებული 5 კლასიკური „არას“ (ანუ იმის, რითიც ადამიანი განსხვავდება ცხოველისგან) მთელ მსოფლიოში ერთხელ და სამუდამოდ ამოძირკვა.

კლასიკური, რადგანაც ლიბერასტების ხუთივე „არა“-ში თავმოყრილი ახალი „ღირებულებები“, ერთნაირად მიუღებელია ყველა ტრადიციული რელიგიური კონფესიებისათვის. განსაკუთრებით მართლმადიდებელი ქრისტიანული ეკლესიისთვის – ამიტომაც „ბრძანა“ ლგბტ და საერთოდ სატანისტების მთავარმა იდეოლოგმა, ზბიგნევ ბჟეზინსკიმ, სსრკ-ს დაშლის შემდეგ, რომ ნეოლიბერასტების მთავარი მტერი მართლმადიდებლობაა და აქედან გამომდინარე „ამერიკული დახმარების“ მთავარი მიზანი მართლმადიდებლობასთან ბრძოლაა!

სად სსრკ-ს დაშლა და მითუმეტეს რაღა დროს „ცხონებული“ ზბიგნევ ბჟეზინსკია, რომელიც კაი ხანია ჯოჯოხეთის ცეცხლში იხრუკება – შეიძლება იკითხოს მავანმა მკითხველმა, რომელსაც ვუპასუხებ...

თუ ე.წ. „ამერიკული დახმარების“ ათვლას სწორედაც რომ სსრკ-ს დაშლითა და ზბიგნევ ბჟეზინსკით დავიწყებთ, მას შემდეგ ყოველივე თქმული იმის დასტურია, რომ საქართველოსთან მიმართებაში „ამერიკულ დახმარებას“ ე.წ. ხანდაზმულობის ვადა არ გააჩნია. აქედან გამომდინარე, თამამად შეიძლება იმის თქმაც, რომ საქართველოსთან მიმართებაში „ამერიკული დახმარება“ ერთჯერადი აქტი კი არა, ათეული წლების განმავლობაში მიმდინარე პროცესია.

უბრალოდ, დღეს მისის კელი დეგნანის პრიმადონობით აშშ-ს ახალი ელჩიონის სახით, მიმდინარე პროცესის, გნებავთ სპექტაკლის აქტორები შეიცვალნენ, თორემ სპექტაკლის ლიბრეტო, ანუ შინაარსი, აშშ-ს პირველი ელჩიდან, მისტერ კენტ ბრაუნიდან (1992-1995) მოყოლებული, ვიდრე დღემდე, ათეული წლების მანძილზე თითქმის უცვლელია – „ამერიკული დახმარება“ ჯერ ედუარდ შევარდნაძეს, ხოლო შემდეგ მის გაზრდილ მიხეილ სააკაშვილს – ამერიკული დემოკრატიის დროშით, ნატოსა და ევროკავშირისკენ მიმავალ გზაზე!

თუ აშშ-საქართველოს დიპლომატიურ ურთიერთობათა 30-წლიან ისტორიას გადავავლებთ თვალს, აღმოვაჩენთ რომ ამ ხნის მანძილზე, დაწყებული პირველი, კენტ ბრაუნიდან ვიდრე დღემდე, საქართველოში სულ 9 ელჩმა „იღვაწა“.

არ ვიცი დიპლომატიაში 30-ში 9 ბევრია თუ ცოტა (ინტუიცია, მკარნახობს, რომ ბევრია, რაც ასევე მგონია, რომ ელჩების ბევრჯერ ცვლა, კარგი არ უნდა იყოს) თუ რატომ, ამის ახსნისთვის ჩემი დიპლომატიური კვალიფიკაცია საკმარისი არ არის.

ამიტომაც სხვა, პიროვნული რაკურსით შევხედე ელჩთა სიას (ჯერჯერობით მისის კელის, უკანასკნელი ელჩის გამოკლებით, რომელზე საუბარიც, ბოლოს, მკითხველისთვის დესერტად მაქვს შემონახული) და აღმოვაჩინე სამწუხარო რეალობა – არც ერთი ელჩის ხელში, რბილად რომ ვთქვათ, საქართველოს არ უხეირია.

სხვა მრავალ მიზეზებთან ერთად, ჩემს სათქმელს, ამიტომაც გავუკეთე პრეფერანსში კონვერტაცია (თუ ასე თქმა ყურს არ მოჭრის მკითხველს) და ტერმინი „ამერიკული დახმარება“, მხოლოდ ბოროტების სიმბოლოდ „გავშიფრე“...

ბოლო აბზაცს ნათქვამიდან მხოლოდ ერთს დავამატებ – არ არსებობს ქვეყანა, სადაც ანგლოსაქსი იანკები შევიდნენ და იქ მცხოვრებ უბრალო რიგით მოსახლეობას ეხეიროს...

თუმცა რაღა შორს მივდივართ? დავუბრუნდეთ საქართველოში აშშ-ს ელჩების „მოღვაწეობას“, რომელთაც ყველას ერთი საერთო თვისება აერთიანებთ – ისინი, როგორც წესი, ლგბტ-პედერასტების გულანთებული დამცველები, ანუ წინამდებარე წერილის სათაურში ხსენებული 5 „არას“ და მისგან შობილი (თუ ასე თქმა უფრიანია) ახალ ფასეულობა-ღირებულებათა დამკვიდრებისთვის იბრძვიან, ყველა „ჩამორჩენილ“ „გაუნათლებელ“ ქვეყნებში.

ისე, ლეგიტიმური ტრაბახით შეგვიძლია ვთქვათ ქართველებმა, რომ არსად უზარმაზარ დედამიწაზე, ისეთი წინააღმდეგობა არ შეხვედრიათ ლგბტ-პედერასტებს და მათ გულუხვად დაფინანსებულ პროპაგანდისტებს, როგორც პატარა საქართველოში.

რაც, პირველ რიგში საქართველოს მართლმადიდებელი დედაეკლესიისა და პირადად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, მისი უწმინდესობა-უნეტარესობის, ილია მეორის დამსახურებაა.

სწორედ ამიტომ ებრძვიან ასე გააფთრებით შინაური თუ გარეული ხლისტები საქართველოს ეკლესიას...

თუმცა მოდით დავუბრუნდეთ აშშ-ს ელჩთა ოდიოზურ სიას. უფრო სწორად, „ამერიკული დახმარების“ თავისი დროის ავტორებს, რომლებმაც საქართველოში ელჩობისას, მეტნაკლები მნიშვნელობის, ზოგმა არც მეტი, არც ნაკლები, სისხლიანი (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) კვალი დატოვეს საქართველოში!

სხვადასხვა მიზეზებთან ერთად, პირველი ელჩის „ამერიკული დახმარების“ წყალობითაც დე ფაქტო დავკარგეთ აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი;

უილიამ კორტნი (1995-1997) მის ვერც დადებით და ვერც უარყოფით საქმიანობას ვერ ვიხსენებ;

კენეტ სპენსერ იალოვეცი (1998-2001) ასევე, უკომენტაროდ;

მეოთხე, რიჩარდ მაილსი (2002-2005) ვარდების რევოლუციის ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი. მის დროს ჩამობრძანდა თბილისში აშშ-ს პრეზიდენტი ჯორჯ ბუში. რომელმაც მიშას „დემოკრატიის შუქურა“ უწოდა. რომლის სიკაშკაშის გამო კოლექტიური დასავლეთი „ფართოდ დახუჭული თვალებით“ ვერ ხედავდა ციხეებში პატიმართა წამებას, მკვლელობებს და გაუპატიურებას, ქუჩებში დახვრეტილ ათობით ახალგაზრდას;

ჯონ ტეფტი (2005-2009) აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომი; დანარჩენი უკომენტაროდ;

ჯონ ბასი (2009-2012) პრაქტიკულად მან აუნთო მწვანე შუქი 2011 წლის 26 მაისის სადისტურ დარბევას. ამიტომ თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ მისტერ ჯონს, ვანო მერაბიშვილთან ერთად, ქართველთა სისხლსა და ცრემლში უბანავია;

იან კელი (2015-2018) ეს მისი „რეკომენდაციით“, ანუ ბრძანებით, საქართველოს სახალხო დამცველად ნინო ლომჯარია დანიშნა საქართველოს პარლამენტმა. ნინო, ლომჯარია, რომელიც ქართველების გარდა ყველას იცავს. განსაკუთრებით ლგბტ-პედერასტებს;

და ბოლოს, ზემოთ დანაპირები „დესერტი“, **კელი დეგნანი – 2020 წლის 31 იანვრიდან დღემდე აშშ-ს ელჩი საქართველოში.** რომელიც ისე გათავხედდა, რომ ღიად თანამშრომლობს ნაცისტებთან და ასევე ღიად იღვწის ნაცების ხელისუფლებაში დასაბრუნებლად; საქართველოში რუსეთის წინააღმდეგ, მეორე ფრონტის გახსნისთვის. აღარაფერს ვიტყვი მის განსაკუთრებულ სიყვარულზე,ლგბტ-პედერასტების მიმართ იმის გარდა, რომ აი, „ამერიკული დახმარებაც“ ასეთი უნდა...

თუმცა, მოკლე ხანში შეიძლება ისეთი ვითარება შეიქმნას უკრაინის გამო მსოფლიო გეოპოლიტიკაში, რომ ირაკლი ღარიბაშვილის მკერდზე მუშტების ბრაგუნი, რაც „საამო არის საცქერლად“ და მისი ყოველდღიური – „ჩემი უფროსი ევროპა კი არა, ქართველი ხალხია“ და განსაკუთრებით, „საქართველოში მეორე ფრონტი არ გაიხსნება“, რაც ამჯერად საცქერლად კი არა, სასმენად არის საამო...

ყოველგვარი პოეტური ლირიკის გარეშე, პროზაულად გავიმეორებ –მოკლე ხანში, აი, როდესაც მთელი უკრაინა თეთრ „პროსტინებს“ გადმოფენენ აივნებიდან (თუ იმ დროს აივნიან სახლებს იპოვნიან, რადგანაც თითქმის მთელი უკრაინა მიწასთან არის გასწორებული და ამ რეალობას ნაცტელევიზიები შეგნებულად უმალავენ საქართველოს მოსახლეობას) ნაც- პროპაგანდიდან გამომდინარე თუ ვინმეს სჯერა, რომ უკრაინა არათუ წართმეულს დაიბრუნებს, არამედ დღეს თუ არა ხვალ, აზოვის ბანდერულ-ფაშისტური არმიის გამარჯვების პარადს, უკრაინის პრეზიდენტი და მთავარსარდალი ვლადიმერ ზელენსკი წითელ მოედანზე, მავზოლეუმის ტრიბუნაზე ჩაიბარებს.

დავით მხეიძე

P.S. **„წინ წყალი და უკან მეწყერი“, უთქვამს ძართველ კაცს. ამ მდგომარეობაში რა უნდა გავაკეთოთ, რომ გადავრჩეთ?**

ჩემი აზრით, დიდ-პატარა, ერი და ბერი, უნდა გამოვიდეთ წინამდებარე წერილის სათაურის საწინააღმდეგო მოწოდებებით. რასაც პირობითად შეიძლება 5 დიახ დავარქვათ. ანუ, დიახ სამშობლოს; დიახ, ეროვნებას; დიახ, რწმენას, ანუ ღმერთს; დიახ, ისტორიას, ანუ წინაპართა ხსოვნას და ბოლოს უმთავრესი, დიახ, სქესს! და ბოლოს, არ გვინდა „ამერიკული დახმარება“! ანგლოსაქსებო, წაბრძანდით საქართველოდან! ჩვენს აფხაზ და ოს ძმებთან, ერთი ერთზე, მოწმეების, ანუ თქვენს გარეშე საუბრის უფლება მოგვეცით და როგორმე შევრიგდებით.

ერთმორწმუნე რუსები და ქართველები კი მოკლე ხანში აღვადგენთ ტკბილ-მწარე მეზობლურ ურთიერთობებს.

დ. მ.

გინდ დაიჯერეთ, გინდ – არა!

„ის, რაც მედვედევმა (რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე, ყოფილი პრემიერი და პრეზიდენტი) დაწერა, სრულიად აღმაშფოთებელია! თუმცა მისი გვერდი რომც გაეტეხათ, ჰაკერებს ბევრი არაფერი დაუმატებიათ იმისთვის, რაც იქამდე მისგან (მედვედევისგან) ხშირად გვსმენია“, – ეუბნება რუსი ისტორიკოსი, ალექსანდრ ეტკინდი რადიო თავისუფლებას. მედვედევისგან განსხვავებით, რომელიც რუსეთის იმპერიის აღდგენაზე ხშირად საუბრობს, პროფესორი ეტკინდი დარწმუნებულია, რომ ადრე თუ გვიან, რუსეთი არათუ აღადგენს იმპერიას, არამედ თავად დაიშლება. ვაჟა თავბერიძე პროფესორ ეტკინდის ამ მოსაზრების არგუმენტებით დაინტერესდა.

ალექსანდრ ეტკინდი:

ვწინასწარმეტყველებ, რომ

რადიო თავისუფლება: თქვენთან რუსეთზე საუბარი საათობით შეიძლება, მაგრამ რადგანაც ამის ფუფუნება არ გვაქვს, მოდით, ბოლო წერილის განხილვით შემოვიფარგლოთ, რომელშიც რუსეთს „დეფედერალიზაციას“ უწინასწარმეტყველებთ. მაცდური პერსპექტივაა, განსაკუთრებით რუსეთის მეზობლებისთვის – მაგრამ რა უნდა მოხდეს, რათა ეს რეალობად იქცეს? რამ უნდა მიგვიყვანოს აქამდე?

პროფ. ალექსანდრ ეტკინდი: მთავარი – ომი უკვე მოხდა. ვფიქრობ, ბიძგი ეს ომია, რასაც შედეგადაც მოჰყვება მოვლენათა ჯაჭვი, რომელსაც რუსეთის ფედერაციის ჩამოშლამდე მივყავართ. ერთობ მნიშვნელოვან როლს ამ მოვლენებში ითამაშებენ ე.წ. მკვიდრი მოსახლეობა – თათრები, ბაშკირეთის, ციმბირის და ზოგადად ჩრდილოეთ რუსეთის ადგილობრივი მოსახლეობა. მათ უკვე ძალიან დიდი ხანია ყურს არ უგდებენ, კრემლი მათ არაფრად აგდებს. მათი ნაწილი თითქმის გაწყდა კიდეც, როგორც, მაგალითად, ხანტი-მანსები, მაგრამ არიან მრავალრიცხოვანი ეთნიკური ჯგუფებიც, მაგალითად, თათრები.

– ანუ, თქვენ არ ამბობთ – ეს შეიძლება მოხდეს, თქვენ ამბობთ, რომ რუსეთის „დეფედერალიზაცია“ გარდაუვალია, რომ, ასე ვთქვათ, განაჩენი გამოტანილია?

– დიახ, მე ვწინასწარმეტყველებ, რომ ეს მოხდება, რომ რუსეთი დაიშლება. ამას შეიძლება დასჭირდეს წელიწადი, შეიძლება დასჭირდეს ათწლეულებიც კი. ამოსავალი წერტილი ნავთობის პოლიტიკური ეკონომიკაა – მას რუსეთი ციმბირიდან იღებს და შემდეგ ანაწილებს, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ. და როდესაც მსოფლიო რუსული ნავთობის შესყიდვას შეწყვეტს – და ეს გარდაუვალია, ჩინეთისა და ინდოეთის შემთხვევაშიც კი – რუსეთი აღმოაჩენს, რომ მილიარდები აღარ აქვს. რა მოხდება მაშინ? ჩუვაშები სახტად დარჩებიან, ჩეჩნები კი პირდაპირ პროტესტზე გადავლენ. ეს ფული მათი ყველი და პურია, ყოველდღიური ლუკმაა. თუ მოსკოვისგან მოაკლდებათ ეს ლუკმა, თავადვე მოუწევთ საკუთარი თავის რჩენაზე ფიქრი. და ამას ყველა სხვადასხვანაირად იზამს. ვიღაცას მდინარე ექნება, ვიღაცას ზღვაზე გასასვლელი, რკინიგზა, ბუნებრივი რესურსები და ა.შ. ვისაც რა ექნება, იმით ეცდება ფონს გავიდეს.

– იმასაც წერთ, რომ ამ ჩამოშლის თავიდან აცილება შეიძლებოდა – ამისთვის საკმარისი იყო უკრაინასთან ომის არდაწყება. რატომ მიგაჩნიათ ეს ასეთ საბედისწერო შეცდომად? იმ შემთხვევაშიც, თუ რუსეთი უკრაინაში ომს მოიგებს – დეფედერალიზაცია მაინც მოხდება?

– ეს ძალიან სათუოა. თუმცა არის ხალხი, ვისაც სჯერა, რომ თუ რუსეთი გაიმარჯვებს, ყველაფერი 23 თებერვლის სტატუს-კვოს დაუბრუნდება. ე.წ. ნაციონალური ელიტა იმედოვნებს, რომ ეს ყველაფერი დავიწყებას მიეცემა და ისინი ისევ მიუსხდებიან მაგიდას დასავლელ სავაჭრო პარტნიორებთან ერთად. დანაკარგები იქნება, მაგრამ ისინი თვალს დახუჭავენ ამაზე, თუ ყველაფერი „Business as usual“ – „თითქოს არაფერი მომხდარა“ მოდელს დაუბრუნდება. მაგრამ რუსეთმა კიდეც რომ გაიმარჯვოს, ეჭვი მეპარება, რომ შეძლოს, მაგრამ მაინც, დავუშვათ – ამ შემთხვევაშიც კი, რამდენიმე თაობა, 50 წელზე მეტი დასჭირდება რაიმე ცივილური ურთიერთობის შექმნას უკრაინასთან. ტექნიკური გადმოსახედიდან, რუსეთს სანქციები შესაძლოა მოუხსნან, მაგრამ ეს დაკავშირებული იქნება უკრაინისთვის ომით მიყენებული ზარალის ანაზღაურებასთან – რეპარაციების გადახდასთან. და, ამას გარდა, ცალკე თემაა სამხედრო დანაშაულებზე პასუხისგების საკითხი – ომის ტრიბუნალი. იქნება მატერიალური კომპენსაცია, მაგრამ ეს რუსეთის მიერ დახოცილ ხალხს ვერ გააცოცხლებს, ისევე როგორც რუსი ჯარისკაცების მიერ გაუპატიურებულ უკრაინელებს არ დააავიწყდებათ, რომ გააუპატიურეს.

– რამდენად სავარაუდოა, რომ ეს „დეფედერალიზაცია“ მშვიდობიანად, უსისხლოდ ჩაივლის?

– ძალიან მეეჭვება, მშვიდობიანად ჩაიაროს. საბჭოთა კავშირი იყო გიგანტი, რომელმაც თავი თვითონვე მოიკვეთა – ეს, თითქოსდა, მშვიდობიანად მოხდა, ქუჩები სისხლით არ იყო სავსე, მაგრამ მალევე ვიხილეთ ომი ჩეჩნეთში, შემდეგ საქართველოში, შემდეგ უკრაინაში. სამივე ეს ომი საბჭოთა კავშირის დაშლის გამოძახილია. და რაც შეეხება დღევანდელ რუსეთს, მისი თავის მოკვეთის ოპტიმალური სცენარი იქნებოდა დღეს არსებული ადმინისტრაციული სტრუქტურებისა და საზღვრების ჩარჩოებში დარჩენა. ადგილობრივი ხელისუფლებების ძალაუფლებები შეკვეცილია, პუტინის მთავრობა ამაზე ათწლეულების განმავლობაში „ზრუნავდა“, მაგრამ ისინი მაინც არსებობენ. თუ ადგილობრივი ადმინისტრაციები ჩაიგდებენ ძალაუფლებას ხელში და ერთმანეთში მორიგდებიან, ეს ოპტიმალური სცენარი იქნებოდა. მაგრამ მეეჭვება ასე მოხდეს, რადგან საბჭოთა მოხელეების მიერ მოხაზული საზღვრები ბევრს არ დააკმაყოფილებს.

– და თავად მოსკოვი? დაუშვებს ამას? შეუძლია კი რუსეთს იარსებოს, როგორც დეკოლონიზებულ ქვეყანას?

– რუსეთი ყველაფერს იღონებს, რომ ეს შეაჩეროს. მოსკოვი მხოლოდ მაშინ დაუშვებს ამას, როდესაც უკვე წინააღმდეგობის გაწევის ძალა აღარ ექნება. მაგრამ, ვიცით, რომ რუსული ჯარის 85 პროცენტი დღეს უკრაინაშია – ისინი ჩამოიყვანეს ყველა მხრიდან – ციმბირი, სახალინი, ოსეთი, ჩინეთთან საზღვრიდანაც კი. ისინი უსაქმოდ არ იდგნენ ჩინეთის საზღვართან – მეფის რუსეთის დროიდან პატრულირდებოდა ეს საზღვარი, რადგან ეს საკამათო საზღვარია. ასე რომ, თუ „რამე“ მოხდება, რუსეთს მოუწევს ან უკრაინა დაცალოს, ან საერთოდ აღარ ეყოლება ჯარი. ორივე ეს სცენარი გვაახლოებს რუსეთის დაშლასთან.

– რუსეთის ფედერაცია 80-ზე მეტი ფედერალური სუბიექტისგან შედგება. ვინ წავა და ვინ დარჩება, თუ დეფედერალიზაცია მართლაც მოხდება?

– წავლენ ეთნიკური რესპუბლიკები. განსაკუთრებით ისინი, რომლებსაც სხვა სახელმწიფოებთან აქვთ საზღვრები. მათ თავის გადარჩენის უკეთესი შანსი ექნებათ, ვიდრე იმათ, ვინც რუსეთის შიგნითაა „დამწყვდეული“. გასასვლელი ზღვაზე, სანაოსნო მდინარეები, სატრანსპორტო გზები, ბუნებრივი რესურსები, სავაჭრო პოტენციალი – ესენი მნიშვნელოვანი ფაქტორებია. უმნიშვნელოვანესი იქნება ე.წ. ეთნიკური იდენტობა. იგივე თათრეთში, მაგალითად, სულ უფრო და უფრო მეტი ადამიანი აღიქვამს თავს რუსად.

– რუსეთის ბირთვულ არსენალს რა ბედი ეწევა? თქვენი პროგნოზის მიხედვით, გამოდის, რომ რუკაზე რამდენიმე ახალი ბირთვული შეიარაღების მქონე ქვეყანამ შეიძლება წამოყოს თავი?

– ეს, რა თქმა უნდა, მთავარი თავსატკივარი იქნება ამერიკისთვის, ევროკავშირისთვის და დანარჩენი სამყაროსთვის. ოფიციალური შეთანხმებების პრეცედენტები გვაქვს – მაგრამ ყველამ ვნახეთ, თუ რა მოჰყვა ბუდაპეშტის მემორანდუმს. უკრაინის შემთხვევამ ნათლად დაგვანახა, რა არ მუშაობს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ჯერ კიდევ ვერ ვიპოვეთ მუშა ფორმულა. ერთი სცენარი იქნებოდა 1991 წლის გამეორება – არსენალი მოსკოვს დარჩება, ყველა ხელს მოაწერს რაღაც ქაღალდებს და მივიღებთ ბუდაპეშტ 2-ს. არსებობს სხვა სცენარებიც, მაგრამ ჩემი მხრიდან მათი განხილვა ახლა სუფთა სპეკულირება იქნებოდა.

– რუსეთიდან „გავიდეთ“, მაგრამ სამეზობლოში დავრჩეთ: იმის ფონზე, რომ რუსული ჯარის 85 პროცენტი უკრაინაშია, წერდით, რომ საინტერესოა, რუსეთის მეზობლებიდან ვის წაძლევს სული - ვინ ეცდება ამ ვითარების სათავისოდ გამოყენებას. იმავეს გკითხავთ - იპოვეთ ამ კითხვაზე პასუხი?

– ეს ხარჯისა და სარგებლის ანალიზის საკითხია.და ვინ იხეირებდა ყველაზე მეტად ამით? ჩინეთი, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს იაპონიაც. ათწლეულებია, იაპონია კურილის კუნძულების დაბრუნებას ლამობს. დღეს კი ვკითხულობთ, რომ იმ ბატალიონების ნაწილი, რომელიც რუსეთმა კურილის კუნძულებიდან უკრაინაში გადმოისროლა, უკრაინაშივე დარჩებიან – ისინი დაიღუპნენ. საკითხავია, კურილის კუნძულებზე ვინ დარჩა? თუ იაპონია ჯარს გადასხამს, არანაირ საერთაშორისო კანონს არ დაარღვევს, რადგან რუსეთსა და იაპონიას შორის სამშვიდობო ხელშეკრულება დღემდე არ დადებულა, ეს სადავო ტერიტორიაა. ჩინეთი სხვა საკითხია – წავლენ ამაზე? შეიძლება წავიდნენ, შეიძლება არა, აქ ისევ ხარჯსარგებლის ამბავია. ამერიკის გადმოსახედიდან, არ სჯობია, ჩინეთს ტაივანის ნაცვლად ციმბირის მიმართ ჰქონდეს „ინტერესი“? პოტენციური ნადავლი ციმბირში განუზომლად უფრო დიდია. თუ ახლა სახელმწიფო დეპარტამენტში ვინმე ახალი ჰენრი კისინჯერი უზით, ალბათ ფიქრობს, როგორ გაჩარხოს საქმე ჩინელებთან – ციმბირს „მიანექით“, ტაივანს შეეშვით. მაგრამ შეიძლება არც ჰყავთ ასეთი ხალხი დღეს სახელმწიფო დეპარტამენტში.

– საქართველოსთვის რას მოასწავებს ეს ყველაფერი - რას უქადის რუსეთის დეფედერალიზაცია ორ რუსულ ანკლავს საქართველოში?

– საქართველოს მოუწევს ნახოს, როგორ შეძლებს ახალი კონფიგურაციის თავისთვის სასარგებლოდ გამოყენებას. ისინი ალბათ დაინტერესებულები იქნებოდნენ ახალი საასაზღვრო კონცეფციებით (ახალ მეზობლებთან). რაც შეეხება აფხაზეთს და ოსეთს, ცხადია, რომ რუსეთს უფრო სერიოზული საზრუნავი აქვს, ვიდრე ეს ორი ადგილი, საიდანაც მისი ჯარების 80 პროცენტი უკრაინაში გაიყვანა. ოსეთსა და აფხაზეთს მაშინვე „დასცხებათ“, როგორც კი პროცესები დაიძვრება. მათ მოუწევთ, გადაწყვიტონ – და არ ექნებათ ფუფუნება, რუსეთის სამხედრო ძალის იმედი ჰქონდეთ, როგორც უწინ.

ვაჟა თავბერიძე

ბორის ჯონსონი უკრაინელებს აქებს

აშკარაა, რომ აღმოსავლეთ უკრაინაში რუსეთის შეტევა წარუმატებლობას განიცდის, ამიტომ რუსებს ახლა უნდა დაარტყათ, როდესაც მათ უკვე დაიწყეს ბარბაცი, – განაცხადა კიევში ვიზიტით მყოფმა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა, ბორის ჯონსონმა.

ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის თქმით, პუტინის ჯარები უკვე დაიღალნენ, მათი დანაკარგები კოლოსალურია, ხოლო მიწოდების ჯაჭვები ამოწურული.

დავით ემუხვარი:

აფხაზთა უფროს თაობებს მხოლოდ საქართველოს პატრიარქის იმედი აქვთ!

აფხაზებთან დიპლომატიური დიალოგი ყოველდღე უნდა მიმდინარეობდეს!

პოლიტოლოგი, კონფლიქტების მკვლევარი დავით ემუხვარი, რომელიც გერმანიაში მოღვაწეობს, აცხადებს, რომ სამწუხაროდ, დაუსრულებელი პოლიტიკური კინკლაობა ყოველდღიურად გვაშორებს აფხაზეთს. მისი თქმით, აუცილებელია გვერდზე გადავდოთ პოლიტიკური ამბიციები და ერთად ვიზრუნოთ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის, რასაც მოჰყვება დევნილთა ღირსეული დაბრუნება. როგორც პოლიტოლოგი აცხადებს, აუცილებელია შეიქმნას ერთგვარი მოედანი, სადაც ქართველი ექსპერტები იმსჯელებენ ამ თემებზე ისე, რომ ამ მსჯელობაში ჩართონ აფხაზური მხარეც.

— ბატონო დავით, ძალიან მალე სოხუმის დაცემიდან 30 წელი შესრულდება, საქართველოს ისტორიაში ეს ერთ-ერთი უმძიმესი თარიღია, არა მარტო აფხაზეთიდან დევნილებისთვის და თავად აფხაზებისთვის, არამედ სრულიად საქართველოსთვის. როგორ ხედავთ, სამშვიდობო და დიალოგზე ორიენტირებულ პოლიტიკას, რომელიც გახდება ძლიერი, მშვიდობიანი და დემოკრატიული სახელმწიფოს შენების წინაპირობა?

დავით ემუხვარი: პირველ რიგში, მინდა მადლობა გითხრათ ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემური საკითხებით დაინტერესებისთვის, როგორიც არის აფხაზეთი და აფხაზი ერი. ჩვენი უახლესი ისტორიის ყველაზე დრამატულმა მოვლენამ და ძმათა შორის დაპირისპირებამ მოიტანა გაუმართლებელი ნგრევა, საკუთარ სამშობლოში დევნილად ქცეული ადამიანები და, რაც ყველაზე სამწუხაროა, ორივე მხრიდან მრავალი ჩვენი თანამოქალაქის — ჯარისკაცებისა და მშვიდობიანი მოსახლეობის სიცოცხლე შეიწირა 1992-93 წლის სამხედრო დაპირისპირებამ.

30 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც აფხაზეთის ტერიტორიაზე ძმათა მკვლელი ომი დაიწყო. სამწუხაროდ, ვატყობ, რომ პოლიტიკურ დონეზე აფხაზეთის საკითხი არის გაჩერებული. მაგრამ რაც მთავარია, ხალხთა შორის ურთიერთობა არ შეწყვეტილა, დღემდე გრძელდება ერთმანეთთან მიმოსვლა.

მე, პირადად ხშირად მიწევს აფხაზეთში ჩასვლა, მაქვს აფხაზებთან ურთიერთობა და მინდა გულწრფელად გითხრათ, რომ მიუხედავად ძმათამკვლელი ომისა, რომელიც 1992-93 წლებში თავს დაატყდა ჩვენს ქვეყანას და მისი მძიმე შედეგებისა, აფხაზეთში მცხოვრები უფროსი თაობის უმეტესობა დადებითად არის განწყობილი ქართველების მიმართ და რაც მთავარია, ქართველებს მოიხსენიებენ როგორც ძმებს, ხოლო ქართველებთან თანაცხოვრებას ყოველთვის იხსენებენ დიდი პატივისცემით და სითბოთი, ისე, როგორც ეს შეეფერება კავკასიელ ხალხს.

— მშვიდობიანი დიალოგის პარალელურად, რამდენად მნიშვნელოვანია და ამავე დროს აუცილებელიც, რომ ქართულ თემად ვაქციოთ ის თემები, რაც აწუხებთ აფხაზებს და ჩავდოთ ჩვენი ინტერესები? ანუ, ვაჩვენოთ, რომ საქართველოში მათ პრობლემებზე მიდის მსჯელობა...

— მნიშვნელოვანია, რომ ეს საკითხი გავყოთ ორ ნაწილად. რა თქმა უნდა, პოლიტიკოსებმა ხმამაღლა და გასაგებად უნდა ილაპარაკონ იმის შესახებ, რომ აფხაზი ერი - ეს არის ჩვენი მოძმე ერი, საუკუნეებია, ერთმანეთთან გვაკავშირებს ძმობა და თანადგომა, რომ მათი პრობლემა, ჩვენი პრობლემაც არის. მეორე ნაწილი ეს არის სახალხო დიპლომატია და ის ჰუმანიტარული საკითხები, რაზედაც დგას ზოგადად პოლიტიკა. ჩვენ, როგორც რიცხობრივად დიდმა ერმა, უნდა დავიწყოთ დიალოგი და გავაგებინოთ აფხაზებს, რომ ჩვენ ერთმანეთს ვჭირდებით.

— თქვენ როგორც აღნიშნეთ, დღემდე კონტაქტი გაქვთ აფხაზებთან და ერთმანეთს უზიარებთ ქართულ-აფხაზურ პრობლემებს. ბატონო დავით, დღეს აფხაზებს თუ აინტერესებთ ქართველი საზოგადოების პოზიციები აფხაზური პრობლემებთან დაკავშირებით?„

— რა თქმა უნდა, ყურადღებით ადევნებენ თვალს საქართველოში მიმდინარე პროცესებს და მინდა გითხრათ, რომ პოლიტიკურ ნაწილშიც საკმაოდ კარგადაც ერკვევიან, რომელი პოლიტიკური პარტია მუშაობს აფხაზეთის და კერძოდ, კონფლიქტის დარეგულირების ნაწილში. მე დღემდე არ შემიწყვეტია ურთიერთობა აფხაზებთან. მეტსაც გეტყვით, როდესაც სუფრასთან ვსხდებით, ვერ ვანსხვავებ ქართველს და აფხაზს ერთმანეთისგან, იმდენად ერთნაირად ვაზროვნებთ. დამიჯერეთ, რომ არა აფხაზური აქცენტი, ვერაფრით ვერ განასხვავებთ მათ დანარჩენი ქართველებისგან. ჩვენი კულტურა ჩადებულია აფხაზურ გენში.

სამწუხაროდ, დაუსრულებელი პოლიტიკური კინკლაობა ყოველდღიურად გვაშორებს აფხაზეთს. აუცილებელია გვერდზე გადავდოთ პოლიტიკური ამბიციები და ერთად ვიზრუნოთ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის, რასაც მოჰყვება დევნილთა ღირსეული დაბრუნება. კონფლიქტის დარეგულირების კუთხით, მნიშვნელოვანია ხალხთა შორის ურთიერთობა და ამავე დროს აუცილებელია, რომ თქვენ, ქართველმა და აფხაზმა ჟურნალისტებმა ისაუბროთ ერთმანეთთან ისეთ საკითხებზე, როგორიც არის განათლება, ჯანდაცვა, დასაქმება, როგორია მოსახლეობის განწყობა. ვფიქრობ, რომ მნიშვნელოვანია ვისაუბროთ არა მარტო უარყოფითი, არამედ დადებითი კუთხითაც.

— ფაქტია, რომ დღეს, ქართულ მედიაში ძირითადად შუქდება ქართულ-აფხაზური ურთიერთობების უარყოფითი უ მხარე, არ ეთმობა დრო დადებით მხარეს, რაც ნებისმიერ შემთხვევაში ნდობის აღდგენისთვის არის მნიშვნელოვანი...

აფხაზები ყოველ შეხვედრაზე ხაზგასმით ამბობენ, რომ მხოლოდ საქართველოს პატრიარქის იმედზე არიან, რადგან თვლიან, კიდევ ის თუ შეძლებს გახლეჩილი ქართულ-აფხაზური ურთიერთობის აღდგენას. დარწმუნებული არიან, რომ დადგება ის დრო, როდესაც ჩვენი უწმინდესი ამ ორ ხალხს გააერთიანებს. თამამად შემიძლია გითხრათ, რომ აფხაზეთში ელოდებიან ილია მეორეს.

— რა თქმა უნდა. აფხაზეთში არის ისეთი ტელევიზიები, სადაც მსჯელობენ აფხაზეთში არსებულ მდგომარეობაზე, შიდა პოლიტიკურ მდგომარეობაზე. საჭიროა მათი პროექტირება, რომ ჩვენც განვიხილოთ რა ტენდენციებია, რა მიმართულებებია აფხაზურ საზოგადოებაში. დღეს, აფხაზი მოსახლეობა ხმამაღლა საუბრობს იმ პრობლემებზე, რაც მათ აწუხებთ და, პირველ რიგში, ეს არის რუსიფიკაციის პრობლემა, რასაც საფრთხედ მიიჩნევენ. აუცილებელია ამ საკითხებზე მსჯელობა ქართულ საზოგადოებაში, რათა პროგრესულად მოაზროვნე აფხაზებმა იგრძნონ, რომ საქართველოს სახით მათ ჰყავთ მხარდამჭერები. თუ აქიდან დავიწყებთ მსჯელობას, მათ შორის ამ საკითხების მედიით გაშუქებას, აფხაზები დაინახავენ, რომ ქართველებისთვისაც მნიშვნელოვანია რა ხდება აფხაზეთში და შესაბამისად, უფრო მეტი თემები წამოვა.

ბიჭვინთაში საკმაოდ დიდი ტერიტორია გასხვისდა რუსეთის მოქალაქეებზე, რასაც აფხაზეთში მოჰყვა დიდი ვნებათაღელვა, მაგრამ ქართული მხარისთვის ეს თემა არ აღმოჩნდა გამორჩეულად საგულისყურო. უნდა ვაჩვენოთ აფხაზებს, რომ საქართველოში მათ პრობლემებზე მიდის მსჯელობა. აუცილებელია შეიქმნას ერთგვარი მოედანი, სადაც ქართველი ექსპერტები იმსჯელებენ ამ თემებზე ისე, რომ ამ მსჯელობაში ჩართონ აფხაზური მხარეც. აუცილებელია ჩვენება, რომ საქართველო საუბრობს აფხაზეთის საკითხზე.

ყურადღება მინდა გავამახვილო ერთი მტკივნეულ საკითხზე, ქართულ არხებზე გვესმის ერთი და იგივე, დაუსრულებელი კინკლაობა პოლიტიკოსებსა და პარტიებს შორის. ომის შემდეგ გავიდა 30 წელი, კითხვა მაქვს ქართველ პოლიტიკოსებთან — რა გაკეთდა 30 წლის განმავლობაში და რას აპირებენ? რა ნაბიჯები გადაიდგა საქართველოს გასაერთიანებლად? რატომ ამ საკითხზე არ საუბრობენ ტელევიზიით ხმამაღლა?

რატომ არ ეთმობა დრო აფხაზეთს და აფხაზებს? ისინი ჩვენი ხალხი არ არიან? ყველას უნდა აფხაზი ხალხის შემორიგება, მაგრამ რა კეთდება ამისთვის? თუ, თქვენ ფიქრობთ, რომ აფხაზეთი და აფხაზები თვითონ დაბრუნდებიან... დამიჯერეთ, დრო ჩვენზე არ მუშაობს. სამწუხაროდ, ჩვენ დიდი დრო დავკარგეთ. აფხაზეთში იზრდება ახალი თაობა, მათ არ იციან და არ ახსოვთ ქართველებთან ერთად თანაცხოვრება და ძმობა. ამიტომ მოვეგოთ გონს — სანამ უფროსი თაობა ცოცხალია და აქვთ გავლენა, დავიწყოთ დიალოგი.

აფხაზები ვერ დაიწყებენ დიალოგს, პატარა ერია. დავიწყოთ ჩვენ და ისინი მოდიან ურთიერთობაზე. აფხაზეთში, ან თუნდაც ევროპაში ვხვდებით ერთმანეთს, ისინი საუბრობენ, რომ მზად არიან წამოვიდნენ დიალოგზე, მაგრამ ვერ ხედავენ მცდელობას, თუნდაც საქართველოს მთავრობის დონეზე. რა თქმა უნდა, არ ვგულისხმობ თბილისში მოკალათებულ აფხაზეთის მთავრობას, რომელიც ზედმეტი ტვირთია როგორც საქართველოს ხელისუფლებისთვის, ასევე ჩვენთვის, დევნილებისთვის. ხალხი ერთმანეთთან ურთიერთობს, მაგრამ ამ ურთიერთობის გასაღრმავებლად უფრო მეტია გასაკეთებელი. ჩვენ მეტი დრო უნდა დავუთმოთ აფხაზეთს. ბოლოს და ბოლოს, ყველა აფხაზს ქართული გვარი აქვს.

— თქვენ ახსენეთ, რომ ევროპაში ხვდებით აფხაზებს, რამდენად ხშირად ჩამოდიან და რატომ? ევროპული განათლების მიღებით თუ არიან დაინტერესებულნი?

— რასაკვირველია, აფხაზებისთვის მნიშვნელოვანია განათლების საკითხი. მნიშვნელოვანია დავიწყოთ ამ თემაზე საუბარი და შევთავაზოთ შემხვედრი ნაბიჯი მთლიანად აფხაზ აბიტურიენტებს, რომლებსაც უნდათ განათლება საქართველოში მიიღონ და ჩვენ, უნდა მივცეთ ამის შესაძლებლობა. მიმაჩნია, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით აუცილებელია ხელისუფლებასთან ერთად მუშაობა. რატომაც არა, მიიღონ განათლება საქართველოში, რაც კონფლიქტის დარეგულირებაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს.

მოგეხსენებათ, რომ მათ აქვთ რუსული პასპორტები, უმეტესობა რუსეთში მიდის განათლების მისაღებად. მაგალითად, მოსახლეობას თავისუფლად შეუძლია სამედიცინო დახმარება რუსეთში მიიღონ, მაგრამ არჩევანს საქართველოზე აკეთებენ, მათ შორის ეკონომიკური, თუ ტურისტული კუთხითაც, რადგან ქართული მენტალობა უფრო ახლოსაა მათთან. ამ მენტალური და იდენტური სიახლოვის გამო, ისინიც არჩევანს საქართველოს სასარგებლოდ აკეთებენ.

ახლა, უკრაინაში მიმდინარე საომარო მოქმედების ფონზე, გაუჭირდათ, მოგეხსენებათ, რომ რუსეთმა შეუმცირა დაფინანსება, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი განათლების მისაღებად რუსეთში ვერ წავლენ. ვერც ევროპაში ვერ გადიან და კიდევ უფრო გაუჭირდებათ. დადგა დრო, რომ ეს ვითარება გამოვიყენოთ და გვერდში დავუდგეთ იმ აფხაზ ახალგაზრდებს და დავეხმაროთ განათლების მიღებაში, ეს აუცილებელია და ეს არის უმთავრესი საკითხი.

— ჩვენი საუბრის ბოლოს მინდა გკითხოთ, როგორია აფხაზების დამოკიდებულება ჩვენი უწმინდესის მიმართ, რომელიც ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტია, წლების განმავლობაში მსახურობდა აფხაზეთში და თავისი განსაკუთრებული სიყვარული აკავშირებს აფხაზეთთან...

— რა თქმა უნდა, ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ჩვენი უწმინდესი მსოფლიო მასშტაბის პიროვნებაა. აფხაზეთში დიდი რაოდენობით მართლმადიდებელი ქრისტიანი ცხოვრობს და ისინი დიდი პატივისცემით მოიხსენიებენ ჩვენს პატრიარქს. სიმართლე გითხართ, აფხაზები ყოველ შეხვედრაზე ხაზგასმით ამბობენ, რომ მხოლოდ საქართველოს პატრიარქის იმედზე არიან, რადგან თვლიან, კიდევ ის თუ შეძლებს გახლეჩილი ქართულ-აფხაზური ურთიერთობის აღდგენას. დარწმუნებული არიან, რომ დადგება ის დრო, როდესაც ჩვენი უწმინდესი ამ ორ ხალხს გააერთიანებს. თამამად შემიძლია გითხართ, რომ აფხაზეთში ელოდებიან ილია მეორეს. კიდევ ერთხელ მინდა გითხრათ, რომ ყველაზე დიდ იმედს სწორედ ჩვენს უწმინდესზე ამყარებენ...

ესაუბრა
თამთა ძარჩავა

საბრალონი

ანუ, ისევ გაღმა შედავების ულირსი მეთოდი...

(მესამე გვერდიდან)

„მას შემდეგ, რაც „ქართულმა ოცნებამ“ საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მისაღებად განსაზღვრულ 12 პუნქტის შესრულებაზე მისსავე შექმნილ სამუშაო ჯგუფში სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების (ISFED) მონაწილეობა დაბლოკა, რასაც სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან ჯგუფებში მუშაობის შეჩერება მოჰყვა, მმართველი პარტია სამოქალაქო სექტორს თავს დაესხა. „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის, ირაკლი კობახიძის თავდასხმა არასამთავრობო ორგანიზაციების კომპეტენციასა და კეთილსინდისიერებაზე, მათი დახარისხება და ხელისუფლებისთვის მიუღებელ არასამთავრობო ორგანიზაციათა შავი სიის შექმნა ქვეყნის ეროვნული ინტერესებისთვის უმნიშვნელოვანეს, ევროინტეგრაციის საკითხზე დაფიქსირებული პოზიციის გამო, სხვა არაფერია, თუ არა მცდელობა, „ქართულმა ოცნებამ“ ხელისუფლების საქმიანობაზე საზოგადოებრივი კონტროლი გაანეიტრალოს და ამ გზით საკუთარი დღის წესრიგით საქმიანობა გაიადვილოს. საყურადღებოა, რომ მმართველი პარტია იმ ინდივიდებს, თუ ორგანიზაციებს ესხმის თავს, რომლებიც აქტიურად აკვირდებიან ხელისუფლების საქმიანობას, აკრიტიკებენ აქამდე არსებულ სახიფათო პოლიტიკას, მოუწოდებენ ხელისუფლებას, გადახედოს მის დღის წესრიგს და ევროინტეგრაციის, თუ ქვეყნის განვითარების გზაზე რეალური ნაბიჯების გადადგმა დაიწყოს.

მიგვაჩნია, რომ „ქართული ოცნება“ იაზრებს შედეგს, თუმცა, მსგავსი რიტორიკითა და ნაბიჯებით მიზანმიმართულად ცდილობს მოშალოს ყველა ბერკეტი, რომელიც საქართველოს დემოკრატიული განვითარებისთვის სასიცოცხლოდ სჭირდება. სწორედ ასეთი გადაწყვეტილებები და განცხადებებია მიზეზი იმისა, რაც ყოველდღიურად ბუნდოვანს ხდის საქართველოს დემოკრატიული განვითარების მომავალს, როგორც ეროვნული, ასევე საერთაშორისო საზოგადოების თვალში, რაც სრულად „ქართული ოცნების“ პასუხისმგებლობაა“, — ნათქვამია განცხადებაში.

განცხადებას ხელს აწერენ:

„საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“ (GDI); „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო“ (TI); „საქართველოს ღია საზოგადოების ფონდი“ (OSGF); „საქართველოს სასამართლოს გუშაგი“; „დემოკრატიის მცველები“; „მედიის განვითარების ფონდი“; „ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი“ (EPRC); „ევროპულ-ქართული ინსტიტუტი“; „რონდელის ფონდი“; „საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი“ (GIP); „საქართველოს ატლანტიკური საბჭო“; „საქართველოს რეფორმების ასოციაცია“ (CRASS); „ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი“ (TDI); „უფლებები საქართველო ძალები საერთო მომავლისთვის (WECF) — საქართველო“.



ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ 3 ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ �პᲐᲙᲔᲢᲘ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲠᲗᲘᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲡ ᲓᲐᲐᲮᲚᲝᲔᲑᲘᲗ 2.98-ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚ �პᲐᲙᲔᲢᲡ ᲒᲐᲛᲝᲣᲨᲕᲝᲤᲡ, — ამის შესახებ აღნიშნულია **ჯო ბაიდენის** განცხადებაში, რომელსაც თეთრი სახლი აქვეყნებს.

„ყველა ამერიკელის სახელით, უკრაინელ ხალხს დამოუკიდებლობის დღეს ვულოცავ. ბოლო ექვსი თვის განმავლობაში, უკრაინელებმა მსოფლიო თავიანთი არაჩვეულებრივი გამბედაობითა და თავისუფლებისადმი ერთგულებით შთააგონეს. ისინი მტკიცედ დგანან უკრაინაში რუსეთის სრულმასშტაბიანი შეჭრის წინაშე. დღევანდელ დღე არის იმის ცხადი დადასტურება, რომ უკრაინა რჩება ამაყად და ასეთი იქნება მომავალშიც — სუვერენული და დამოუკიდებელი ერი. ამერიკის შეერთებული შტატები მზადაა, მხარი დაუჭიროს უკრაინელ ხალხს, ვინაიდან ისინი აგრძელებენ ბრძოლას საკუთარი სუვერენიტეტის დასაცავად. ამ ვალდებულების ფარგლებში, სიამაყით ვაცხადებ უსაფრთხოების დახმარების დღემდე ყველაზე დიდი ტრანშის შესახებ: უკრაინას, უსაფრთხოების დახმარების ინიციატივის ფარგლებში, დაახლოებით 2.98 მილიარდი დოლარის იარაღი და აღჭურვილობა გადაეცემა. ეს საშუალებას მისცემს უკრაინას, მიიღოს საჰაერო თავდაცვის, საარტილერიო სისტემები და საბრძოლო მასალები, უპილოტო საჰაერო სისტემები და რადარები, რათა შეძლოს საკუთარი თავდაცვის უზრუნველყოფა გრძელვადიან პერსპექტივაში“, — აღნიშნულია ბაიდენის განცხადებაში.

ᲐᲨᲨ-ᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲛᲐ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐᲨᲘ ᲛᲝᲚᲐᲰᲐᲠᲐᲙᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲖᲔ ᲛᲗᲐᲕᲐᲠ ᲛᲠᲩᲔᲕᲚᲐᲓ ᲤᲘᲚᲘᲞ ᲠᲘᲙᲔᲠᲘ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲐ

„ᲤᲘᲚᲘᲞ ᲠᲘᲙᲔᲠᲘ იმუშავებს აშშ-ის ეუთოს მინსკის ჯგუფის თანათავმჯდომარედ და უხელმძღვანელებს აშშ-ის დელეგაციას ჟენევის საერთაშორისო დისკუსიებზე ამ კრიტიკულ პერიოდში“, — ნათქვამია აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მიერ გამოქვეყნებულ განცხადებაში.

განცხადებაში ასევე ნათქვამია, რომ აშშ დაეხმარება სომხეთსა და აზერბაიჯანს მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის გრძელვადიანი პოლიტიკური დარეგულირების მიღწევაში.

„ფილიპ რიკერი ითანამშრომლებს თანამოაზრე პარტნიორებთან, როგორიცაა ევროკავშირი და ასევე იმუშავებს ეუთო-ს მინსკის ჯგუფის თანათავმჯდომარის როლში, რათა სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის პირდაპირი დიალოგის ფასილიტაცია მოახდინოს. ამ დროს რიკერის დანიშვნა ადასტურებს იმ მნიშვნელობას, რომელსაც აშშ ანიჭებს საქართველოსთან დაკავშირებით ჟენევის საერთაშორისო დისკუსიებს“, — ნათქვამია აშშ-ის სახელმწიფო მდივნის განცხადებაში.

ᲛᲐᲘᲐ ᲜᲐᲓᲘᲠᲐᲫᲔ ᲦᲠᲛᲐ ᲫᲘᲚᲘᲡᲒᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲣᲦᲕᲘᲫᲘᲐ!

„ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ“ ყოფილი ლიდერი **ᲛᲐᲘᲐ ᲜᲐᲓᲘᲠᲐᲫᲔ** „ლელოს“ ლიდერის, მამუკა ხაზარაძის მეუღლის მიერ მიხეილ საკაშვილის პლაკატის დახევის ფაქტს ეხმიანება და წერს, რომ:

„გავიგე, ხაზარაძის ცოლს მიშას პლაკატი დაუხევია. ასეთი ბანძები, ამორალური ინფუზორიები სწორედ ასე უნდა იქცეოდნენ. მე არც კი მეწყინა, უბრალოდ გამახსენდა, რომ ეს მევახშეები, ვალუტის ბუტკის მფლობელები, ფულის გულისთვის საკუთარი თავის ფეხქვეშ გამთელავი უგვანი არსებები, რანი იყვნენ გუშინ...

მორალს და ლოგიკას ვინც ამათგან ითხოვთ, ასეთივე წარმატებით შეგიძლიათ ხიხოს, ან სულაც პუტინს, მოსთხოვოთ ევროინტეგრაცია.

აკი, ასეც ირჯებით. სამწუხარო კი სწორედ ეს არის...

აქ, ბენდუქიძის ცნობილი სიტყვები მიშასადმი იქნებოდა რელევანტური, მაგრამ...

ყველა, ვინც ამათი ტანშფანდურის მონაწილეა ისეთივე ბრიყვი, ბეცი და უტვინოა, როგორც ხაზარაძე თავისი ჰარამხანით.

უკრაინის დამოუკიდებლობის აღმნიშვნელ მიტინგზე, როცა ის რუსეთს ეომება, უკრაინის მოქალაქის, რუსეთის პირადი პატიმრის გმობა არის ცინიზმის სუპერ შემთხვევა, მაგრამ ადამიანები, რომლებსაც პრეტენზია აქვთ ფასეულობების ქონაზე და ამ ცინიზმს არ „იმჩნევენ“, ფუჭი ტაშფანდურის სტატისტები არიან და რაღაც თვალსაზრისით, ქოცებზე უარესებიც“...

უვიცობის უგინცობა

(მეოთხე გვერდიდან)

უგინცი, ანუ უსაშველო უვიცობაა იმის ფიქრი, რომ აშშ და საქართველო სტრატეგიული პარტნიორები არიან. ამ უაზრობას ვინც დაიჯერებს, მან არც პარტნიორობა იცის რა არის და არც სტრატეგიაზე აქვს რაიმე წარმოდგენა. ეს თუ ასე არ არის, მაშინ ბრძანოს ვინმემ, როგორ წარმოუდგენიათ ლომისა და ჭიანჭველას სტრატეგიული პარტნიორობა. მთლად უვიცი თუ არ არის კაცი, ამგვარ პარტნიორობაზე, ანუ თანამშრომლობაზე სერიოზულად არ იფიქრებს. რაც შეეხება იმას, რომ აშშ ჩვენი, მეგობარია, როგორც ზოგიერთებს სურთ და ჰგონიათ, მინდა ასეთებს ვკითხო, თქვე მამაცსონებულებო და დედაგანათლებულებო, აშშ თავისი კარის მეზობლის მეგობარი არ არის და ორი ოკეანისა და ათასი მთის იქით არსებულ საქართველოს მიმართ რა სიყვარულის ქოთანი გაუსკდა. ჩვენი „დემოკრატიზაციისათვის“ და „გათანამედროვეობისათვის“ რომ ილადრავს ყელს, მისმა მოსაზღვრე ქვეყნებმა: მექსიკამ, პანამამ, ჰონდურასმა, ნიკარაგუამ და სხვებმა რა დაუშავეს, შვილები დაუხოცეს, თუ ვენახები გაუჩეხეს, მინდორში ძნები დაუწვეს თუ დედები გაუუპატიურეს, ყელამდე გაჭირვებაში რომ არიან ჩაფლულნი და დემოკრატია სიზმარშიც არ მოლანდებიათ!

აბა, ვის აქვს პასუხი ამაზე?

სამწუხაროდ, დიდი ხანია ჩვენში გაუთავებლად ლაყბობენ გლობალიზაციის პროცესის შეუქცევადობაზე და უკვე ბევრ უვიცსა თუ მენცარს გადაუბრუნეს ტვინი და დაარწმუნეს ამ ბლეფის ჭეშმარიტებაში, ე.ი უვიცობა ცოდნად უქციეს ადამიანებს. მაინც რა არის გლობალიზაციის პროცესი? ეს არის ქვეყნებს შორის არა მარტო ეკონომიკური და კულტურული საზღვრების წაშლა, არამედ, ეროვნული და ეთნიკური განსხვავებულობის მოშლაც: ერები ერთმანეთს შეერწყმებიან (რასებიც რა თქმა უნდა), ერები ერთმანეთს შთანთქავენ, მულტიკულტურა გამეფდება და აღარ იქნება ის განსხვავებანი, რაც დაპირისპირებისა და ურთიერთგათიშვის საფუძველია. სამშობლოსა და ოჯახის ცნებები გაქრება. არ იქნება თვით სქესობრივი განსხვავებანიც კი, რასაც ახლანდელი პოლიტიკის ენაზე გენდერული თანასწორობა ჰქვია!

ვაი ჩვენს პატრონს! ეს არის ტროცკისტული იდეოლოგია, რომელსაც რვა ათეული წლის წინ სასიკვდილო ლახვარი ჩასცა ერთმა უდიდესმა კაცმა, მაგრამ როგორც ჩანს, მისი მეტასტაზები გასული იყო იმ დიდი კაცის ხელმისაწვდომი ზონიდან და აი, ახლა გაცოცხლებულა და მსოფლიოს დაღუპვით ემუქრება.

ერთი ისტორიული ფაქტი მახსენდება დღევანდელი სატანისტური (ტროცკისტ-ლენინური) იდეოლოგიის შემოტევის შემხედვარეს:

ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლისა და სამი საბჭოთა რესპუბლიკის ჩამოყალიბების პროცესს იმ დროს სათავეში ქართველი ბოლშევიკი სერგო ორჯონიკიძე ედგა. საზღვრების დადგენისას აზერბაიჯანელმა პატრულმა ამხანაგებმა სთხოვეს სერგოს, საინგილო (კახის რაიონი) მუსულმანებით არის დასახლებული და ჩვენ გადმოგვეცი, რათა სარწმუნოებრივ ნიადაგზე ქრისტიანებთან რაიმე დისკომფორტი არ შეექმნათო. კარგიო, - დაეთანხმა სერგო. როგორც ცნობილია, მაშინდელი ქართველი ინტელიგენციის ცნობილი წარმომადგენლები ეწვივნენ სერგო ორჯონიკიძეს და სთხოვეს, საინგილო ისტორიული საქართველოს ნაწილია, ინგილოები ეთნიკური ქართველები არიან და ნუ გადასცემთ სხვა სახელმწიფოსო. რა სხვა სახელმწიფოსო - გაიკვირვა სერგომ, — ჩვენ ყველანი კომუნიზმში მივდივართ და რა მნიშვნელობა აქვს ინგილოები მარქსიზმს აზერბაიჯანულად ისწავლიან თუ ქართულადო.

აი, პოლიტიკური გამოთაყვანების უგინცობის უვიცობად გადაქცევის ნიმუში!

ინგილოებს არც მარქსიზმის სწავლით შეუწუხებიათ თავი და არც სადმე კომუნიზმში წავსულვართ ერთად: საინგილო აზერბაიჯანის სახელმწიფოში დარჩა (სამუდამოდ!), ჩვენ შეგვრჩა ხვიშტი? ასევე დაგვემართა მეზობელ სომხეთთანაც.

უვიცობის კიდევ ბევრი მაგალითის განხილვა შეიძლება, მაგრამ ნათქვამიც საკმარისი მგონია საიმისოდ, თუ რა უბედურებამდე შეიძლება მიგვიყვანოს უმეცრებამ პოლიტიკაშიც, ეკონომიკაშიც და ნებისმიერ ადამიანურ საქმიანობაშიც.

ᲐᲛᲘᲢᲝᲛ, ᲒᲖᲐ ᲒᲐᲓᲐᲕᲣᲦᲝᲗ ᲣᲕᲘᲪᲝᲑᲘᲡ ᲣᲒᲘᲜᲪᲝᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲗᲐᲝᲑᲐ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲒᲐᲓᲐᲕᲐᲠᲩᲘᲜᲝᲗ, ᲗᲣ „ᲨᲘᲜ ᲔᲕᲠᲝ�პᲐᲨᲘ“ ᲬᲐᲡᲐᲡᲕᲚᲔᲚᲐᲓ ᲓᲦᲔᲡ ᲢᲠᲝᲙᲔᲑᲣᲚᲔᲑᲡ ᲕᲔᲠᲐᲤᲔᲠᲡ ᲕᲣᲨᲕᲔᲚᲘᲗ!

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲪᲣᲪᲥᲘᲠᲘᲫᲔ,
განათლების აკადემიის წევრი, პროფესორი
ტელ: 555 56 75 37

◎ მუნდიალი 2023

ძვირი დაგვიჯდა

ვარდი უეკლოდ ვის მოუკრეფიაო, ისეა საქართველოს კალათბურთელთა ეროვნული ნაკრების საქმე.

მოგეხსენებათ, რეალური შანსი გვაქვს, პირველად მოვიპოვოთ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური რაუნდის საგზური, რომელსაც გაისად აზიური ტრიო უმასპინძლებს ფილიპინების, იაპონიისა და ინდონეზიის შემადგენლობით, საამისოდ პირველი ნაბიჯი კი გამოკვეთილ აუტსაიდერ ნიდერლანდებთან ახალ მულტიფუნქციურ დარბაზში გამართული მეორე შესარჩევი ეტაპის სასტარტო შეხვედრაში გამარჯვებით გადავდგით — 77:66 (18:18, 17:17, 21:9, 21:22).

სამწუხაროდ, მეტოქის გატეხა საკმაოდ ძვირი დაგვიჯდა — მხარი ამოიგდო და საოპერაციო გახდა „ჯვაროსანთა“ ლიდერი **თორნიკე შენგელია,** რაც უდიდესი ალბათობით იმას ნიშნავს, რომ დამდეგი ევრობასკეტი ჩვენი გუნდის კაპიტნის გარეშე ჩაივლის.

საქართველო: შენგელია — 20 ქ. 4 მ. მაკფადენი — 19 ქ. 5 მ. 1 პ. შერმადინი 13 ქ. 5 მ. 1 პ. მამუკელაშვილი — 10 ქ. 10 მ. ბითაძე — 8 ქ. 7 მ. 2 პ. ჯინჭარაძე — 3 ქ. 2 მ. 1 პ. ცინცაძე — 2 ქ. ბურჯანაძე — 2 ქ. 3 მ. ითამაშეს აგრეთვე სანაძემ, ანდრონიკაშვილმა და ბოქოლიშვილმა.

რაც შეეხება თვით მატჩს, მასპინძლებმა ამჯერად შედარებით გამოასწორეს დაცვა, თუმცა ეპიზოდურად, განსაკუთრებით — თანაბარი ბრძოლის პირველ ნახევარში ვერაფერს უხერხებდნენ სტუმართა სნაიპერებს, რომლებიც სამქულიანებით გამოირჩეოდნენ: **დე იონგი — 22 ქ. 6 მ. 1 პ. კლოოფი — 13 ქ. 3 მ. 5 პ. შაფტენაარი — 10 ქ.,** წარმატება კი ილიას ზუროსის შეგირდებმა ტანმაღალი კვარტეტის ძალისხმევით გამოჭედეს, რომელმაც პარტნიორთა ქულების ორი მესამედი სამწამიანი ზონიდან მოაგროვა.

აღსანიშნავია აგრეთვე მაკფადენის გამოცოცხლება, რომელმაც კრიტიკულ ვითარებაში პერიმეტრიდან ზედიზედ ორი ზუსტი გასროლა განახორციელა და გადამწყვეტი ჩხვლეტა მიაყენა ნარინჯისფერებს.

იმავე დღეს უკრაინა რიგაში კარგახანს ღირსეულად უმკლავდებოდა იტალიას და ერთ მომენტში 12 ქულითაც დაწინაურდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც „სკუადრა აძურამ“ დასახმარებლად გალინარი — დატომეს მრისხანე დუეტს უხმო, რომელსაც ეტორე მესინა ქართველებთან ხვალინდელი დუელისთვის უფრთხილდებოდა (ბრეშია, 22 საათი და 30 წუთი, პირდაპირი ტელერეპორტაჟი საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე), მოვლენები ლოგიკურად განვითარდა და კატათაგვობანა აპენინელებმა მოიგეს — 97:89.

არადა, „ყოვლისმცოდნენი“ თამაშამდე წინასწარმეტყველებდნენ, რომ უკრაინის დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად სტუმრები მეტოქეს ძვირფას ქულებს უფეშქაშებდნენ. რომ იტყვიან, ნეტარ არიან მორწმუნენი.

ესპანეთი - ისლანდია 87:57.

სატურნირო მდგომარეობა: ესპანეთი, იტალია — 4-4, საქართველო, ისლანდია — 3-3, უკრაინა — 1, ნიდერლანდები — 0 გამარჯვება.

შეგახსენებთ, რომ პლანეტის უმაღლეს ფორუმზე სამი საუკეთესო ნაკრები იასპარეზებს.

◎ მწვერვალი

ასეთ ტრანსფერზე დიდოსტატებიც ოცნებობენ

ხვიჩა კვარაცხელიას ფეერიულმა იტალიურმა დებიუტმა თავისდაუნებურად დაჩრდილა დანარჩენი ქართული საფეხბურთო მოვლენები, არადა, ამ დღეებში კიდევ ერთი ისეთი ხმაურიანი ტრანსფერი განხორციელდა, სხვა შემთხვევაში უთუოდ ქვეყნის სპორტული ცხოვრების უპირველეს ფაქტად შეფასდებოდა.

საუბარია თბილისის „დინამოს“ აკადემიის აღზრდილ **ლუკა პარკაძეზე,** რომელიც კარიერას, არც მეტი, არც ნაკლები, თვით მიუნხენის „ბაიერნში“ გააგრძელებს. 17 წლის ნახევარმცველთან 5-წლიანი კონტრაქტი გაფორმდა და იგი რეკორდმაისტერს გაისად ზაფხულიდან შეუერთდება, როცა სრულწლოვანი გახდება, მანამდე კი მშობლიურ კლუბში ითამაშებს, სადაც დებიუტი გორის „დილასთან“ კრისტალბეთ ეროვნული ლიგის ამასწინანდელ შეხვედრაში ჰქონდა.

საქართველოს17-წლამდელთა ნაკრების წევრი (19 მატჩი, 3 გოლი) რომან ფიფიას შექმნილ „თეთრ-ლურჯთა“ აკადემიაში 2017 წლიდან ოსტატდება და განვლილ პერიოდში მისი ყველა ასაკობრივი გუნდის ღირსებას იცავდა, ბავარიული გრანდის წარმომადგენლებს კი თავი შოტლანდიაში გამართული ელიტ-რაუნდის დროს მოაწონა.

დაკვირვებისა და გერმანიაში გავლილი სრული სამედიცინო შემოწმების შემდეგ ყველაფერი თბილისის „დინამოსთან“ წარმატებით დასრულებული მოლაპარაკებებით დაგვიგვინდა, განსაკუთრებით აღსანიშნავი კი ის გახლავთ, რომ ეს არის პირველი გრძელვადიანი პროფესიული კონტრაქტი, რომელიც „ბაიერნმა“ 17 წლის არაევროკავშირელ ფეხბურთელთან გააფორმა!

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ესაა ევროპაში ერთ-ერთი მოწინავე — ბუნდესლიგისაკენ გადადგმული ისტორიული გარღვევის ტოლფასი ნაბიჯი, რომელიც 2008 წელს **გუგა კაჭახიძისა** და **ბესო აბაშიძის** მიერ დაფუძნებულმა საფეხბურთო სააგენტომ განახორციელა (მას **მალხაზ მუსერიძე** და ეროვნული ნაკრების ყოფილი წევრი **გიორგი ფოფხაძე** წარმოადგენენ). ამავე მენეჯერთა სახელებს უკავშირდება ახლახან იტალიურ „კრემონეზეში“ გაჩარხული **ლუკა ლოჩოშვილის** ტრანსფერიც.

რაც შეეხება დანარჩენებს, უკვე გამოცდილ სააგენტოსთან თანამშრომლობენ **კიტეიშვილი, ლობჟანიძე, გიორბელიძე, ზარანდია, ხარაიშვილი, სხირტლაძე, ვაწაძე, დარცმელია, კობოური, ჭანტურია, სამურკასოვი.**

ასე რომ, გაგრძელება აუცილებლად იქნება...

◎ ღირსეული

სპეტაკი ჭაღარა



ვინ მოთვლის, რამდენი თანამშრომელი ჰყავდა ფალიაშვილის ქუჩაზე, 57-ე საშუალო სკოლის წინ პაატა არჯევანიძის თაოსნობით უკვე კარგახნის წინათ გახსნილ ღია ტიპის ხილ-ბოსტნეულის სავაჭრო ცენტრს, მაგრამ გოჩა ბოჭორიშვილი შეუცვლელია — იგი უღალატო კაცია!

თუ სპორტულ ტერმინოლოგიას მოვიშველიებთ, პაატა გუნდის მწვრთნელია, ხოლო გოჩა — გუნდის კაპიტანი, მათი თანაკლუბელები კი თვალისჩინივით უფრთხილდებიან კოლეგებთან ჯანსაღ კონკურენციაში დამსახურებულ ავტორიტეტს.

მომხმარებლები რომ კმაყოფილნი არიან, გამთენიიდან გვიან საღამომდე ერთი გავლაც დაგარწმუნებთ — საბაზრო ეკონომიკის ულმობელი კანონებიც კი უძლურია კლიენტებთან გულისხმიერ დამოკიდებულებასთან ჭიდილში. ხომ არ გგონიათ, მარტო პროდუქციის აწონვით ამოიწურება მუშტართან მათი ურთიერთობა — ტვირთის მანქანამდე მიტანაში დახმარება აქაურთათვის ჩვეულებრივი ამბავია.

ალბათ, ამიტომაცაა, ძველი მოკეთეები რომ ჰყავთ ვაკის მიღმაც, რომლებიც წლების განმავლობაში ინარჩუნებენ მასპინძელთა მიმართ ისეთ ერთგულებას, ბევრ ოჯახს რომ შეშურდება.

როგორც სპორტია წარმოუდგენელი ტრავმების გარეშე, ასევეა აღნიშნულ სამსახურში გაუცდენლად იმუშაო, მაგრამ ეს საპატიო შატალოა — რა გასაკვირია, რომ წინაპართა ღირსეულ შთამომავალსა და სამაგალითო მეოჯახეს ხშირად მიუწევს გული მშობლიური ზღაპრული რაჭისაკენ — სისხლის ყივილი ხომ თავისას მოითხოვს.

მართალია, თმა ნაადრევად შეუვერცხლისფრდა, მაგრამ მაინც ვერ ვიფიქრებდი, რომ 60 წლისა გამხდარა.

მრავალჟამიერ, მეგობარო!

◎ სანქცია

მშვიდობით, რუსეთო!

ფორმულა 1-ის მთავარი აღმასრულებელი სტეფანო დომენიკალი ამბობს, რომ დიდი პრიზების ცირკი რუსეთში დაბრუნებას აღარ აპირებს. იქაური დიდი პრიზი ქალაქ სოჭში ტარდებოდა, მაგრამ მომავალი სეზონიდან სანკტ პეტერბურგში უნდა გადასულიყო.

შეგახსენებთ, რომ უკრაინაში შეჭრის გამო, ფორმულა 1-მა რუსული რბოლა კალენდრიდან დაუყოვნებლივ ამოიღო, დღეს კი დომენიკალი ამბობს, რომ ფ1-ს აგრესორ ქვეყანაში დაბრუნების სურვილი არ აქვს.

„მე ყოველთვის ვამბობ, რომ არასდროს თქვა არასდროს,. მაგრამ ეს სულ სხვა შემთხვევაა. მე შემიძლია ყველა დავარწმუნო, რომ ჩვენ მათთან მოლაპარაკებასაც აღარ გავმართავთ. რუსეთში რბოლა აღარ იქნება“, — ამბობს დომენიკალი.

რუსეთის დიდი პრიზის პრომოუტერ „როსგონკის“ მთავარი აღმასრულებელი **ალექსეი ტიტოვი** ამბობს, რომ ფორმულა 1-მა მის კომპანიას უნდა დაუბრუნოს ის თანხა, რაც რბოლის ჩატარების ლიცენზიისთვის არის გადახდილი. უფრო მეტიც, ის გამოთქვამს მზადყოფნას, რომ ეს თანხა ფ1-ს დარჩეს, რათა მომავალში რუსეთში რბოლები დაბრუნდეს.

„დღეს სპორტი ძალიან პოლიტიზებულია, რასაც დომენიკალის სიტყვები მოწმობს. რაც მან თქვა, საერთო არაფერი აქვს სპორტის რეალურ სულისკვეთებასთან. ამჟამად ჩვენი მომავალი ურთიერთობა ბუნდოვანია. მომავლისთვის დომენიკალის სიტყვებს აუცილებლად გავითვალისწინებთ“, — ამბობს ტიტოვი.

სოჭში რბოლა 2014 წლიდან ტარდებოდა და ოლიმპიურ ტრეკზე ყველა რბოლა მხოლოდ „მერსედესს“ აქვს მოგებული.



მარადისობასთან თანაზიარი

40 დღე გავიდა იმ ტკივილიანი დღიდან, როდესაც კიდევ ერთი სიკეთით სავსე სიცოცხლე მარადიულობას შეუერთდა. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორის, შალვა ნაჭყებიას ამ ქვეყნიდან გასვლიდან არც ისე დიდი დრო გავიდა, მაგრამ მისმა კოლეგებმა და მეგობრებმა მასთან განშორების ამ უმოკლეს პერიოდშიც, გავითავისეთ, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იყო ის თითოეული ჩვენთაგანისთვის.

ახლის შეგრძნების ნიჭმა, ძიების უნარმა შეაძლებინა რთულსა და წინააღმდეგობებით სავსე გზაზე ღირსეულად ევლო. ცხოვრების გზის ის დიდი ნაწილი, რომელიც მასთან ერთად გავატარეთ ნათელი დასტურია იმისა, თუ რა საოცრად დიდი პიროვნება იყო ჩვენი შალვა, განათლებული, ნამდვილი ინტელიგენტი, გულწრფელი, სანდო, თითოეული ჩვენთაგანის გულშემატკივარი, გულწრფელად რომ იზიარებდა ყველას სატკივარსა თუ გასაჭირს. გვხიბლავდა მისი შინაგანი უშუალობა და საოცარი შემოქმედებითი ცეცხლი, მისი ჰუმანურობა,კეთილშობილება.

ის დაგვაკლდა არა მხოლოდ ჩვენ, მის მეგობრებს, არამედ დააკლდა მის მშობლიურ ტექნიკურ უნივერსიტეტს, სტუდენტებს. მისი სახელი დაუვიწყარია ჩვენთვის და მისი ცხოვრების გზა მაგალითია მომავალი თაობებისთვის.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

მეგობრების სახელით:

დავით გურგენიძე, გივი აბდუშელიშვილი, ვალერი ასათიანი, ზურაბ ასათიანი, მერაბ ახობაძე, ჯემალ გახოკიძე, ალიკო გოცირიძე, ბაკურ გულუა, გურამ გუდავა, თემურ თოფურიძე, ანზორ კვარაცხელია, ომარ კაჭარავა, ლევან კლიმიაშვილი, კარლო კოპალიანი, შოთა კოხრეიძე, ჯემალ კუხალაშვილი, ნაზი კუციავა, როზა ომანაძე, ნიკო ლეკიშვილი, მურთაზ მამისეიშვილი, ავაზ მემანიშვილი, ელგუჯა მეძმარიაშვილი, გიორგი სალუქვაძე, გრიგოლ შონია, ვაჟა შუბლაძე, ზაურ ჩიტიძე, ოთარ წეროძე, რამაზ ხუროძე.



ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაული

მარიამობა – სამეგრელოში მარაშინობა

დღესასწაული გრძელდება და თაყვანისცემა ღვთისმშობლის ხატთან, სიონში, ხახულში, აწყურში, გაენათში, წილვანში, მეტეხში, ქვაბთახევში, დმანისში, მოზდოვში („ივერიის“), ვლაქერნაში, ბოლნისში, ატენში, ნეკრესში, გურჯაანში, ზეგანში, საგურამოში, საცხენისში, ძველ გავაზში, რუსთავში, იტრიაში, იერუსალიმში და სხვაგან 28 აგვისტოდან 5 სექტემბრის ჩათვლით.

...მთელი ქრისტიანული სამყარო განმტკიცებულია მარიამ ღვთისმშობლის ლოცვით, ის მოციქულთა მსგავსად დედა-ეკლესიას ღვთის მადლით განაბრწყინებდა.

ქრისტიანები დედა ღვთისმშობელს უდიდეს პატივს მიაგებდნენ, ამიტომ მის ყოველ სიტყვას და საქმეს იმახსოვრებდნენ. მათ შემოგვინახეს ქალწული მარიამის ხარსიათის და გარეგნობის აღწერაც.

მარიამ ღვთისმშობლის სახელი ყველგან იყო გავრცელებული, ბევრს შურდა კიდევაც მისი... მაგრამ ღმერთი იფარავდა მას. იესო ქრისტე ზეცად ამაღლებიდან მეჩვიდმეტე წელს, 28 აგვისტოს მიიძინა წმინდა იოანე ღვთისმშობლის სახლში, სადაც იგი მაცხოვრის ჯვარცმის შემდეგ ცხოვრობდა...

ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს არც მიძინების შემდეგ მიუტოვებია ქვეყნიერება და მეოხია ყველასი, ვინც მიმართავს მას „...დედუფალო, გვაცხოვნენ ჩვენ!“ მხოლოდ საქართველოში კი ვამბობთ: „დედუფალო, ქართველებს შეგვეწიე“!

მარიამობის მადლი და დაბადების დღე მინდა მივულოცო დიდუბის მარიამ ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის მრავალმსრიგობით გამორჩეულ ადამიანს, ჩვენთვის დაუღალავ და უანგარო მლოცველ მოძღვარს, მამა დამიანს, ვუსურვებ ჯანის სიმრთელეს, წელთა სიუხვეს და როგორც ამბიონიდან მგალობლები უგალობენ: „მრავალჟამიერ, სიცოცხლე მისი...“ ამინ!

გიული ლიპარტია

და თინა ჭიჭინაძე, სიძე ჯუმბერ პატიაშვილი ოჯახით იუწყებიან

თამაზ ჭიჭინაძის

გარდაცვალებას.

პანაშვიდი 26 აგვისტოს გივიშვილის 9ა.

დაკრძალვა 27 აგვისტოს 14 საათზე. გამოსვენება ვაკის სამების ტაძრიდან.

თენგიზ ქავთარაძე, ბორის გოგიჩაიშვილი, ზაურ ფხალაძე ოჯახებით სამძიმარს უცხადებენ თინა და ჯუმბერ პატიაშვილებს ძმისა და ცოლისძმის, გამორჩეული პიროვნების

თამაზ გიორგის ძე ჭიჭინაძის

გარდაცვალების გამო

ძეგვის სარეაბილიტაციო ცენტრში მცხოვრები ბავშვები აჭარაში დაისვენებენ

საქართველოს პროკურატურის თანამშრომლების ხელშეწყობით, წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის მონასტერთან არსებული ძეგვის სარეაბილიტაციო ცენტრის თავშესაფარში მცხოვრები 21 ბავშვი, მშობლებთან ერთად, აჭარაში, ერთ-ერთ სასტუმროში დაისვენებენ. ამ საქველმოქმედო ღონისძიებასთან დაკავშირებით, საქართველოს პროკურატურის წარმომადგენლები ძეგვის სარეაბილიტაციო ცენტრს ესტუმრნენ და ბავშვებს საჩუქრად ზღვისთვის საჭირო აქსესუარები გადასცეს.

ძეგვის თავშესაფრის დირექტორმა, ნანა გოგოჭურმა, პროკურატურის წარმომადგენლებს გაწეული დახმარებისთვის მადლობა გადაუხადა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს პროკურატურა წლებია ძეგვის სარეაბილიტაციო ცენტრში მცხოვრებთათვის სხვადასხვა საქველმოქმედო ღონისძიებას პერმანენტულად ატარებს, რაც მომავალშიც გაგრძელდება.

საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

განცხადება

მოქალაქეების ნიკოლოზ რაზმიაშვილის (პ/ნ 43001008016) და ირინე რაზმიაშვილის (პ/ნ 43001007053) შეტყობინების თაობაზე ძვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაკვეთით (შემდგომში - დეპარტამენტი) ხორციელდება შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (შ-23) აგარა – ყორნისი - ცხინვალის საავტომობილო გზის კმ 1 (0+650) - ზე მდ. სურამულაზე ახალი სახიდე გადასასვლელის სამშენებლო სამუშაოები, რომლის ფარგლებშიც ექცევა მოქალაქეების თანასაკუთრებაში არსებული 3736 კვ.მ (საკადასტრო კოდი 68.06.41.421) მიწის ნაკვეთის ნაწილი, კერძოდ 270 კვ.მ. სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე აუცილებელია პროექტის ფარგლებში მოქცეული (კერძო საკუთრებაში არსებული) მიწის ნაკვეთების და მასზე განთავსებული უძრავი ქონების გამოსყიდვის პროცედურების დასრულება.

დეპარტამენტი, სათანადო ხელშეკრულებების გაფორმების მიზნით მოქალაქეებს სთავაზობს, მათ თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სანაცვლოდ, განსახლების სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ, დამოუკიდებელი აუდიტორული კომპანიის მიერ შემუშავებულ, შესაბამის (საბაზრო) საკომპენსაციო და სარეაბილიტაციო თანხების ანაზღაურებას.

ამასთან, დეპარტამენტი ნიკოლოზ გელას ძე რაზმიაშვილს (პ/ნ 43001008016) დამატებით აცნობებს, მისი პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მოქმედების შეჩერების თაობაზე. ასევე, სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ამონაწერის შესაბამისად, მოქალაქეებს ნიკოლოზ რაზმიაშვილს (პ/ნ 43001008016) და ფარსადან რაზმიაშვილს (პ/ნ 43001034830) აცნობებს, მათი მოვალეთა რეესტრში რეგისტრირების თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დეპარტამენტი მოქალაქეებს აცნობებს, რომ ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებაზე დადებითი პასუხის შემთხვევაში წარმოსადგენი იქნება ნიკოლოზ რაზმიაშვილის (პ/ნ 43001008016) ძალაში მყოფი პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ან პასპორტი. ასევე, ნიკოლოზ რაზმიაშვილის (პ/ნ 43001008016) და ფარსადან რაზმიაშვილის (პ/ნ 43001034830) მიერ უძრავი ქონების განკარგვის შეზღუდვის გაუქმების (პირების მოვალეთა რეესტრიდან ამორიცხვის) დამადასტურებელი დოკუმენტი.

დეპარტამენტი მოქალაქეებს თხოვს აღნიშნული განცხადების გამოქვეყნებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, დეპარტამენტს აცნობონ თავიანთი პოზიცია (თანხმობა ან უარი) შემოთავაზებული საკომპენსაციო თანხის სანაცვლოდ სათანადო ხელშეკრულებების გაფორმებასთან დაკავშირებით, წინააღმდეგ შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კერძოდ ,,აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ'' საქართველოს კანონით დადგენილი წესით მიმართავს კომპეტენტურ ორგანოს ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

ქართული ფილმი საუკეთესოთა შორისაა

სანდრო ელოშვილის ნამუშევარმა „მე ვგრძნობ, მე ვოცნებობ, შენ ხედავ“ — ვენის მოკლემეტრაჟიანი ფილმების მსოფლიო კონკურსზე მეორე ადგილი მოიპოვა.

202-ე უსინათლოთა სკოლის მოსწავლეების ემოციები, გულწრფელი და სწორი დამოკიდებულება სამყაროს მიმართ ფილმის მთავარი ხაზია. ქართველი ავტორის ნამუშევარი გამარჯვებულებს შორის 200-მდე კინოსურათიდან მოხვდა.

ვიქნებით „ოსკარის“ ღირსი?

ეროვნული კინოცენტრი ამერიკის კინოაკადემიის 2023 წლის საერთაშორისო სრულმეტრაჟიანი ფილმის ნომინაციისთვის საქართველოს კანდიდატ ფილმს შეარჩევს.

„საქართველოს კანდიდატ ფილმს გამოავლენს სპეციალური კომისია ფარული კენჭისყრის საფუძველზე. კანდიდატი ფილმის სახელი ცნობილი გახდება 2022 წლის სექტემბრის თვეში“, — აცხადებენ კინოცენტრში.

სუფთა ინდური სცენარი — მკვლელობის ინსცენირება კეტჩუპის გამოყენებით

ინდოეთში, ტამილნადუს შტატში ქალმა სახელად ანუპალავიმ თავისი ქმრის ნავინ ქუმარის მკვლელობა შეუკვეთა. ქალმა და მისმა საყვარელმა სამი მკვლელი დაიქირავეს, თუმცა ისინი ქალის ქმართან ერთად დათვრნენ და კეტჩუპის გამოყენებით მკვლელობის ინსცენირება სცადეს.

დაქირავებულმა მკვლელებმა ავანსად 90 000 რუპია (1100 დოლარი) აიღეს, ხოლო დანარჩენი თანხა — 110 000 რუპია (1400 დოლარი) მკვლელობის დამადასტურებელი ფოტოების წარდგენის შემდეგ უნდა მიეღოთ. გეგმის თანახმად, დაქირავებულ მკვლელებს ნავინ ქუმარი უნდა გაეტაცათ და მოეკლათ, თუმცა მათ გამბედაობა არ ეყოთ. ამის შემდეგ ისინი ქუმართან ერთად დათვრნენ, კეტჩუპი წაუსვეს, ფოტოები კი დამკვეთებს გაუგზავნეს. როდესაც ანუპალავის საყვარელი მიხვდა, რომ ის მოატყუეს, თავი მოიკლა. ნავინ ქუმარი სახლში დაბრუნდა, პოლიციელებმა დაადგინეს, რომ დანაშაულის დაგეგმვაში მისი სიდედრიც მონაწილეობდა. ის, ქუმარის ცოლი და დაქირავებული მკვლელები დააკავეს.

ევროპაში ბოლო 500 წლის განმავლობაში ყველაზე ძლიერი გვალვაა

2022 წელს ევროპის ტერიტორიის 2/3 გვალვის გავლენის ქვეშ აღმოჩნდა. ამის შესახებ ევროპის გვალვის ობსერვატორიის კვლევაშია აღნიშნული, რომელსაც ევროკომისია კურირებს.

კვლევის ავტორების მონაცემებით, ევროპის ტერიტორიის 47%-ზე კრიზისის შესახებ გაფრთხილებაა გამოცხადებული, კიდევ 17%-ზე კი განგაშია გამოცხადებული, რა დროსაც მცენარეები და სასოფლო-სამეურნეო კულტურები ზიანდება.

„ძლიერი გვალვა, რომელმაც წლის დასაწყისიდან ევროპის ბევრი რეგიონი დააზარალა, აგვისტოში გამწვავებას აგრძელებს“, — აღნიშნულია ანგარიშში. ავტორების პროგნოზით, დასავლეთ ევროპასა და ხმელთაშუა ზღვის რეგიონში ნოემბრამდე ჩვეულებრივზე უფრო თბილი და მშრალი ამინდი შენარჩუნდება. შედეგად, სიმინდის, სოიოსა და მზესუმზირას მოსავალი ბოლო 5 წლის მონაცემებთან შედარებით 16, 15 და 12%-ით ნაკლები იქნება. ევროკომისიაში კვლევაზე საუბრისას აღნიშნეს, რომ „მიმდინარე გვალვა სულ მცირე ბოლო 500 წლის განმავლობაში ყველაზე ცუდია“.

ძაღლებს სიხარულისგან ტირილი შეუძლიათ...

იაპონიაში, 22 ძაღლზე ჩაატარეს კვლევა, რომლის შედეგებმაც აჩვენა, რომ ძაღლებს შეუძლიათ, სიხარულისგან იტირონ, როდესაც პატრონი მათთან ბრუნდება. მკვლევრები ძაღლებს, თვალების ქვეშ, მცირე ზომის ქაღალდებს უმაგრებდნენ როდესაც ისინი პატრონებთან ერთად ატარებდნენ დროს. იგივეს აკეთებდნენ ერთი წუთით ადრე, ვიდრე პატრონი, 5-6-საათიანი განშორების შემდეგ, მათთან დაბრუნდებოდა.

აღმოჩნდა, რომ ქაღალდები ცრემლით მხოლოდ მაშინ სველდებოდა, როდესაც დაბრუნებულ პატრონებს ხედავდნენ.

იმის გასარკვევად, იყო თუ არა ეს ცრემლები მათ ემოციებთან დაკავშირებული, მკვლევრებმა გამოიყენეს ოქსიტოცინის შემცველი ხსნარი. ჰორმონის გამოყენების ფონზე, ძაღლებს კიდევ უფრო მეტი ცრემლი წამოუვიდათ. აღნიშნულ კვლევამდე, მიიჩნეოდა, რომ ძაღლებს თვალებიდან სითხე ცრემლსადენი სადინარების სისუფთავის შესანარჩუნებლად მოსდით და ეს მათ ემოციურ რეაქციას არ უკავშირდება.

ცნობისმოყვარე ქუჩდი... მაიმუნი

აშშ-ში, კალიფორნიაში, ზოოპარკის ერთ-ერთმა ბინადარმა გოლფის ელექტრომობილიდან მობილური ტელეფონი მოიპარა და გადაუდებელი დახმარების ნომერზე — 911-ზე დარეკა.

შერიფის ოფისში აცხადებენ, რომ მას შემდეგ, რაც შესული ზარი სწრაფად გითიშა, გადაწყვიტეს, იმ ადგილას წასულიყვნენ, საიდანაც ზარი მიიღეს. ადგილზე მისულებმა აღმოაჩინეს, რომ 911-ზე ზოოპარკის ბინადარმა მაიმუნმა დარეკა.

„როგორც გვითხრეს, ამ ჯიშის (Capuchin monkey) მაიმუნები ძალიან ცნობისმოყვარეები არიან, ყველაფერს ხელში იღებენ, ხოლო თუ ნივთს ღილაკები აქვს, მათ წკაპუნს იწყებენ“, — აცხადებენ შერიფის ოფისში.

მსოფლიოში უდიდესი ურბანული ბაღი

2024 წლისთვის რიო-დე-ჟანეიროში მსოფლიოში უდიდესი ურბანული ბაღის გაშენება იგეგმება. „Hortas Cariocas“-ის სახელწოდებით ცნობილი ინიციატივა, ორგანული პროდუქტის მოხმარების პოპულარიზაციასა და სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის შემოსავლის წყაროს უზრუნველყოფას ითვალისწინებს.

დასრულების შემდგომ, ურბანული ბაღი რამდენიმე მიმდებარე ფაველას მოიცავს, რომელთაც ერთმანეთთან მწვანე ზოლებისა და პარკის საშუალებით დააკავშირებს. „მწვანე დერეფანი“ მადურეირასა და გვადალუპეს შორის ჩამოყალიბდება. გაფართოების დასრულების შემდგომ, ურბანული ბაღი ფეხბურთის თხუთმეტი მოედნის სიდიდის იქნება. Hortas Cariocas-ის დამფუძნებლის განცხადებით, პროექტისგან სარგებელს ყოველთვიურად 100,000-მდე ოჯახი მიიღებს. ურბანული ბაღის ერთ-ერთი მთავარი მიზანი კი, მოსახლეობისთვის ორგანულ საკვებზე ხელმისაწვდომობის გაზრდაა. კულტივირებული პროდუქციიდან 50% ოჯახებს შემოწირულობის სახით გადაეცემათ, 50% კი მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომ ფასად გაიყიდება.

ორმაგი დანაშაული მსხვერპლით დასრულდა

ბულგარეთში, ქალაქ ბურგასში, პოლიციელები მიგრანტების ავტობუსის შეჩერებას ცდილობდნენ, რა დროსაც ავტობუსი სამართალდამცველების ავტომობილს შეეჯახა. დაღუპულია ორი პოლიციელი.

ბულგარეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ავტობუსის მძღოლმა ტრანსპორტი ზედიზედ ორ სასაზღვრო პუნქტზე არ გააჩერა და არც ადევნებული პოლიციელების მოთხოვნას დაემორჩილა. ავტობუსს თურქული სანომრე ნიშები აქვს, მასში 47 მიგრანტი იყო, თუმცა მათი ეროვნება არ სახელდება.

„ავტობუსი საცხოვრებელ უბანში შევიდა, როცა პოლიციელებმა მის წინ მანქანა გააჩერეს. ავტობუსი ჯერ პოლიციის მანქანას დაეჯახა, შემდეგ მის თავზე გადაიარა და ავტობუსის გაჩერებას შეეჯახა. მანქანაში მჯდომი ორი პოლიციელი ადგილზე დაიღუპა“, — წერს Euronews-ი.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჟურნალ-გაზეთი №170

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. გაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 29 აგვისტოს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.8192; ევრო - 2.7972
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3199;
100 რუბლი - 4.6716; თურქული ლირა - 0.1541;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6630;
1000 სომხური დრამი - 6.9803.

ამინდი 26 აგვისტოსთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+14,	დღე	+35
მთიანი რაიონები -	ღამე	+8,	დღე	+25
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+23,	დღე	+39
მთიანი რაიონები -	ღამე	+20	დღე	+39
თბილისი:	ღამე	+17,	დღე	+33

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge